# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 მარტი 2007 №68 (2991) ფასი 50 თეთრი

## დღევანდელი საკუნძულო არ გეგონოთ საძუნძულო!




## ჩვენი ჯგუფის თავთა ტკივილი

### ვინ წაიქცევა საქართველოს წამქცევებიდან?

### იტალია VS შოტლანდია



AFP ფოტო

1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი" აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან.
ადგილები შეზღუდულია.
ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.
მისამართი: ლუბლიანას 18; ტელ: 54 00 77; 54 00 39

## და კიდევ: პოსტსაბჭოური დუელი ოდესაში: უკრაინა — ლიტვა

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ფეხბურთში ფარერი ფრაერია, მაგრამ, მოდით, მაინც მოდით!



„იმ ცამეტი თვის განმავლობაში, რაც აქ ვარ, ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის ბევრი რამ გაკეთდა. შესარჩევ ჯგუფში მხოლოდ საფრანგეთთან წავაგეთ ყველა ასპექტში და ისიც იმ პერიოდში, როცა ფრანგებს მსოფლიოში საუკეთესო გუნდი ჰყავდათ. რაც შეეხება იტალიასთან, უკრაინასთან და შოტლანდიასთან მატჩებს, თავისუფლად შეგვეძლო სასწორი ჩვენს მხარეს გადმოგვეხარა, მაგრამ ხან უიღბლობა, ხანაც ტრავმები გვაწამებდა. ხვალ ისეთი თამაში გვაქვს, მსგავსი არგუმენტები არ გამოგვადგება. ფარერელებს აუცილებლად უნდა მოვუგოთ" — ეს კლაუს ტოპმიოლერის სიტყვებია, რომელიც მან გუშინ ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრების ვარჯიშისწინა პრესკონფერენციაზე თქვა.

ტოპიმ ჯერ წინასამატჩო მზადების ამბები გაგვაცნო, შემდეგ კი, ცხადია, შოტლანდიასთან ნაგებულ შეხვედრაზეც ვკითხეთ...

— სამწუხაროდ, გლაზგოს მატჩის შემდეგ სამი ფეხბურთელი გამოგვაკლდა. ზურაბ ხიზანიშვილი შოტლანდიაში დარჩა, მეორე გოლის გაშვებისას ის ტრავმირებული იყო, მას საზარდული სტკივა და შესაძლოა, ოპერაცია დასჭირდეს.

-გოგიტა გოგუამ გუშინდელ ვარჯიშზე ტვინის შერყევა მიიღო, ხოლო შოთა არველაძეს მუხლი ასტკივდა.

..21-წლამდელთა ნაკრებიდან ორი ფეხბურთელი დავიმატეთ: სანდრო კობახიძე და შოთა გრიგალაშვილი დღეს ღამე შემოგვიერთდებიან. 21-წლამდელებმა თურქულ შეკრებაზე მშვენივრად ითამაშეს, „ტრაბზონსპორის" პირველი და მეორე გუნდის ნაზავთან 4:0 გაიმარჯვეს და ეს ნაღდად უნდა დაუფასდეთ.

..მინდა, გულშემატკივრებს სტადიონზე მოსვლისკენ მოვუწოდო. სადაც კი ჩავდივართ, ყველგან მეთორმეტე ფეხბურთელით გვხვდება — ასე იყო გლაზგოში, სადაც მაყურებელი ფანტასტიკურად უჭერდა მხარს თავის გუნდს. არაა მთავარი, ვის ეთამაშებიან, შოტლანდიაში სტადიონი მუდამ გადაჭედილია. საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ, თურქეთთან ამხანაგური შეხვედრისას გაოცებულიც კი ვიყავი ქომაგების დიდი მხარდაჭერით და მინდა, ეს ყველა თამაშზე ვიგრძნო. მით უმეტეს, შემოდგომამდე საშინაო ოფიციალური შეხვედრა აღარ გვექნება.

— როგორც ვიცით, შოტლანდიასთან მატჩის შესვენებისას ფეხბურთელებს შეტევისკენ მოუწოდეთ და არა ანგარიშის შენარჩუნებისკენ. რისი ბრალია, რომ ეს არ შესრულდა?

— პირველი ტაიმის უმეტესი ნაწილი მართლაც მაღალ დონეზე ჩავატარეთ და ჩვენი ამოცანა იყო, მეორე ნახევარშიც ასე გაგვეგრძელებინა. გოგუაც შეტევის გასაძლიერებლად შევიყვანე — მეგონა, იგი ისეთივე სიმწვავეს შეიტანდა, როგორც თურქეთთან მოახერხა. ამავდროულად, დემეტრაძე მარჯვნივ დავწიე, მას ყველაზე სუსტი შოტლანდიელი მცველის, ნეისმითის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. დღეს საათნახევარი ვარჩევდით სქოთებთან მატჩს და ვნახეთ, რომ მეორე ტაიმში ჩვენი ნახევარდაცვა ძალიან მოისუსტებდა.

— თუ იფიქრებდით, რომ ხუთი თამაშის შემდეგ მხოლოდ სამი ქულა გექნებოდათ?

— მოლოდინი სხვანაირი იყო და რეალურ გათვლაზე მქონდა აგებული. საქართველოს ნაკრებში შეიდი ისეთი ფეხბურთელია, რომლებსაც რამე თუ არ სჭირთ, აუცილებლად ძირითადში უნდა იყვნენ: კობიაშვილი, არველაძე, კალაძე, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, დემეტრაძე, ასათიანი. ამათგან თითოეულ მატჩში ერთი კი არა, ხან სამიოთხი გვაკლდებოდა. კალაძისა და კობიაშვილის არყოფნა „მილანს" და „შალკეს" ეტყობათ ხოლმე და ხომ წარმოგიდგენიათ, საქართველოს ნაკრებს როგორ დაეტყობოდა. ჩვენ თამაშიდან თამაშამდე გვიწევს იძულებითი ცვლილებები. ამხანაგურმა მატჩებმა ბევრი გვასწავლა და დღესაც მჯერა, რომ სწორი გზით მივდივართ. ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მყარად მოიკიდეს ფეხი: კანკავა, ელიავა, მარცვალაძე... იმედი მაქვს, ზაფხულში ლიტვასთან და საფრანგეთთან ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა გვეყოლება, კალაძე და ასათიანი იმ დროისთვის ჯანმრთელად უნდა იყვნენ.

— როგორ გგონიათ, შოტლანდიასთან ალექსანდრე იაშვილის შეყვანა არ აჯობებდა?

— გოგუას ფაქტორზე უკვე ვთქვი — თურქეთთან ის ბრწყინვალედ შევიდა შეცვლაზე და მეგონა, გლაზგოშიც ასე მოხდებოდა. სირაძე იმიტომ შევიყვანე, რომ მეორე ნომინალური ფორვარდი მინდოდა, თანაც იგი კარგად თამაშობს თავით და დაცვაშიც დაგვეხმარებოდა. იაშვილი კი ძირითადის ერთ-ერთი ალტერნატივა იყო და მინდა, გაგიმხილოთ, რომ ხვალ ის პირველივე წუთებიდ მოედანზე იქნება.

— ფარერებთან რა ტაქტიკით ითამაშებთ?

— მეტოქე მაქსიმალურ დაძაბულობაში უნდა გვყავდეს და ვეცადოთ, რომ თავიანთ საჯარიმოში ჩავკეტოთ. პრესინგს მათსავე ნახევარზე მივმართავთ, რითაც შეცდომების დაშვება უნდა ვაიძულოთ.

— შოტლანდიასთან ელიავას თამაშს როგორ შეაფასებთ?

— ელიავა კარგად ერთვებოდა შეტევებში, დაცვაში კი კვლავაც ბევრ შეცდომას უშვებდა. ზაალი ჯერ მაინც ახალბედაა ნაკრებში ის ბრილიანტია, რომელსაც დამუშავება სჭირდება. ელიავას სახით ნაკრებს ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელი ეზრდება. იგივეს ვიტყვი 21 და 19-წლამდელთა ნაკრებების მოთამაშეებზე, რომლებიც ევროპული კლუბების თვალთახედვის არეში არიან. 19-წლამდელთა თამაშებს სკაუტები ესწრებიან და თითქმის ყველა ფეხბურთელი სხვადასხვა ევროპულ გუნდებს სურთ...

პრესკონფერენციის დასრულებისთანავე ჩვენი ნაკრების ვარჯიშიც დაიწყო, რომელზეც მხოლოდ 10 წუთი დაგვასწრეს — ნაკრებს დახურული ვარჯიში ჰქონდა. თვალში ერთი უცნაურობა მოგვხვდა: ტოპმიოლერის განკარგულებაში მხოლოდ სამი „სუფთა" მცველია — სალუქვაძე, შაშიაშვილი, ელიავა. მართალია, მეტოქე ძალიან სუსტია, მაგრამ, მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავის ტკივილი არ იცის.

**ილია ნანობაშვილი**



# შარშან ზაფხულს უკვე გნახეთ

## მარტინ ოლსენმა სტადიონი მოგვიწონა

– უკრაინის ნაკრების ნახევარმცველმა მაქსიმ კალინიჩენკომ ფარერებთან ნამატჩევს თქვა, „ტრუპების" გუნდს ვეთამაშეთო.

ვფიქრობთ, მეტოქის უპატივცემულობა, მით უმეტეს, აბუჩად აგდება, არაა ლამაზი საქციელი. თანაც ევროგრანდი ნაკრები ნაღდად არ გვყავს, ვინმეს ზემოდან ვუყუროთ.

მაგრამ ფარერელების გუშინდელი ვარჯიშის შემხედვარე კი გაგეღიმებოდა კაცს. ეროვნულ სტადიონზე დაახლოებით საათნახევარი დაჰყვეს და აქედან მხოლოდ 20-30 წუთი თუ ივარჯიშეს, რასაც ვარჯიში ჰქვია, დანარჩენი დრო სიცილში გაატარეს.

კუნძულელთა მწვრთნელმა მარტინ ოლსენმა მცირე ხანს ნახევარ მოედანზე ორკარა გააჩაღებინა გუნდს, დაახლოებით ხუთი წუთი ფლანგიდან ჩაწოდებაზე ავარჯიშა.

ვარჯიშის შემდეგ მარტინ ოლსენი რამდენიმე წუთით გვესაუბრა და სტადიონზე რომ შევეკითხეთ, გვითხრა, ამ შესაჩევში სადაც კი გასვლა გვქონდა, ასეთი კარგი სტადიონი არსად დაგვხვედრიაო.

„შარშან ზაფხულს საკუთარ თავზე გამოვცადეთ საქართველოს ნაკრების ძალა. ვიცი, რომ ქართველებს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. ვფიქრობ, კარგი თამაში იქნება, ხოლო რაც შეეხება ტაქტიკას, ამაზე წინასწარ არ ვილაპარაკებ. ერთი ფორვარდით ვითამაშებთ თუ ორით, ესეც ხვალ გამოჩნდება".

მოკლედ, ოლსენი ფიქრობს, რომ კარგი თამაში იქნება...

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

I ლიგა
გადადებული მატჩი

როტერჰემი 1:0 ბლეკპული

II ლიგა
გადადებული მატჩები

შრიუსბერი 3:0 როჩდეილი
უიკომბი 0:1 როვერსი

კონფერენსლიგა
XL ტური

ალდერშოტი 1:0 ვეიმუთი
ალტრინჩემი 0:1 სტაფორდი
ძროული 0:0 უოძინგი
ფორესტ გრინი 2:1 ექსეტერი
გრეისი 3:1 რაშდენი
კიდერმინსტერი 0:0 ბარტონი
მორეკემბი 2:1 ნორსვიჩი
სოთპორტი 1:1 ჰალიფაქსი
ტემუორთი 2:1 გრეივსენდი
იორკი 0:1 სტივენეიჯი

### შოტლანდია

III დივიზიონი
გადადებული მატჩი

არბროთი 3:2 ისტ სტირლინგი

### ამხანაგური მატჩები

ბარბადოსი 0:0 გვატემალა
იამაიკა 1:1 პანამა
ჩილეთი 3:1 უზბეკეთი
ბრაზილია 1:0 განა

ახალგაზრდულები (U-21)

საბერძნეთი 2:1 დანია
ბულგარეთი 2:1 უკრაინა
კვიპროსი 3:3 ფინეთი
სერბეთი 2:0 პორტუგალია
მალტა 2:1 შვედეთი
შვეიცარია 0:1 ავსტრია
საფრანგეთი 0:1 ნორვეგია
ჰოლანდია 1:0 ირლანდია
ბოსნია 1:0 შოტლანდია
გერმანია 1:0 ჩეხეთი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXVII ტური

ჰამბურგი (მ) 4:1 ლევერკუზენი (მ)
დინამო 1:1 ვუპერტალი
კილი 3:1 ვილჰელმსჰავენი
ოსნაბრიუკი 0:0 ვერდერი (მ)
ერფურტი 0:1 დორტმუნდი (მ)
ზანქტ პაული 2:0 ემდენი

# მალხაზ ასათიანის საგანგებო პროგრამა




**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერის, მალხაზ ასათიანის საქმე დღითიდღე უკეთ მიდის — ექვსი თვით ნაუქმარი ქართველი ფეხბურთელი უკვე გუნდთან ერთად, თუმც მაინც საგანგებო პროგრამით ვარჯიშობს.

ასათიანი ახლა მოსკოვშია, გუშინწინ „ლოკომოტივთან" ერთად დაბრუნდა გერმანული შეკრებიდან და ვარჯიშსაც გულმოდგინედ განაგრძობს — მალხაზი უკვე ბურთსაც არ ერიდება, ეგაა, ჯერ ორთაბრძოლებში შესვლა არ შეიძლება.

„თავს კარგად ვგრძნობ. ცოტაც და, სრული დატვირთვით ვარჯიშსაც დავიწყებ" — გვითხრა მალხაზ ასათიანმა გუშინ, მოსკოვში რომ შევეხმიანეთ.

რამდენიმედღიანი გერმანული შეკრებით კმაყოფილი დარჩა რკინიგზელთა თავკაცი ანატოლი ბიშოვეციც-

„ასათიანით კმაყოფილი ვარ. მან ამ შეკრებაზე ძალიან კარგად იმუშავა, ახლა ფორმა უნდა აღიდგინოს, რადგან ძალიან დიდი დრო გაუცდა. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე მალხაზი სრული დატვირთვით ვარჯიშს დაიწყებს" — უთხრა ბიშოვეცმა „სპორტ-ექსპრესს".

მოკლედ, ყველაფერი გაურთულებლად მიდის და რამდენიმე დღეში მალხაზს „ლოკომოტივის" მთავარ გუნდთან ერთად უნდა ველოდოთ.

**ბახა შალამბერიძე**



ნოდარ ახალკაცი და გიორგი ქოჩლაძე

# მარცვალაძე გოლით დაბრუნდა

ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი უქმობის შემდეგ კიევის „დინამოში" ოთარ მარცვალაძემ ითამაშა. სანაკრებო პაუზისას უკრაინის ჩემპიონატში კიევის „დინამო" კიევის „არსენალს" ორმოცწუთიანი ტაიმებით გაეჯიბრა და 6:1 მოუგო. მარცვალაძე მე-60 წუთზე შევიდა მოედანზე და ოთხ წუთში ბურთთან პირველივე შეხება გოლით დასრულა. დინამოელთა შემადგენლობაში შეცვლაზე შესული მარცვალაძის გარდა დავით იმედაშვილმა და კახა ალადაშვილმა სრულად ითამაშეს, არსენალელმა ლაშა ჯაკობიამ კი — მხოლოდ პირველი ტაიმი. სადღეისოდ ოთარ მარცვალაძის ამბავი უფრო გვაინტერესებდა და დავურეკეთ კიდეც...



— მხოლოდ ბოლო 20 წუთი ითამაშე...

— ტრავმა ბოლომდე კი მოვირჩინე, მაგრამ გაცდენილი დროის გამო დიდ დატვირთვებს ვერიდები.

— ძალიან ბევრი დრო გაგიცდა, ფორმის აღდგენა ალბათ გაგიჭირდება...

— შეიძლება, ეს ერთ-ორ კვირაში არ მოხდეს, მაგრამ ფორმას მალე აღვიდგენ.

— „არსენალთან" სამივე კიეველმა ქართველმა ითამაშეთ...

— ალადაშვილის თამაში გასაკვირი არც არის, ის პირველ გუნდში ვარჯიშობს, იმედაშვილს კი განათხოვრებას უპირებდნენ, მაგრამ უკან დაბრუნდა. „არსენალთან" ორივე კარგად გამოიყურებოდა.

— მძიმე ტრავმის შემდეგ „არსენალში" ლაშა ჯაკობიამაც ითამაშა...

— მასაც დიდი დრო გაუცდა, მაგრამ, ეტყობა, თანდათან ფორმაში შედის, ჩვენთანაც კარგად ითამაშა და გოლიც მისი პასით გავიდა.

— ჩვენი ნაკრების შოტლანდიასთან თამაშზე რას იტყვი?

— თამაში ძალიან მომეწონა. ნამდვილად არ უნდა წაგვეგო. ყველა მონდომებული იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვიდა. ბოლოს უფრო მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# 09 ფედერაცია და ინფორმაცია

## ერთი ზარი და ბილეთი ჯიბეშია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი პარტნიორი ჰყავს — საინფორმაციო ცენტრი 09. მათი ურთიერთობა გუშინ ცენტრის ოფისში გაფორმდა...

*გიორგი ქოჩლაძე, 09-ის გენერალური დირექტორი:* 09 და ფეხბურთის ფედერაცია ურთიერთთანამშრომლობაზე შევთანხმდით და დღეიდან ერთად ვიწყებთ საერთო საქმის კეთებას. 09 ფედერაციასთან ერთად ფეხბურთის ქომაგთ ჯერჯერობით სამ მომსახურებას შესთავაზებს. ქომაგებისთვის საქართველოს ნაკრების მატჩებზე ბილეთების ყიდვა უფრო მოხერხებული გახდება — მათ შეეძლებათ ჩვენთან დარეკვა, დაჯავშნა და ბილეთების ურიგოდ შეძენა, ქომაგებს საქართველოს ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანება ჩვენთან დარეკვით და ოპერატორისთვის შესაბამისი მონაცემების კარნახით შეეძლებათ; საქართველოს ნაკრების გასვლით მატჩებზე ან ქართველ ლეგიონერთა თამაშებზე დასწრების მსურველებს ჩვენი სამსახური ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის. 09 აქტიურ თანამშრომლობას იწყებს GFF-თრეველთან.

*ნოდარ ახალკაცი, სფფ-ის პრეზიდენტი:* კმაყოფილები ვართ, რომ დღეს 09-სთან ვიწყებთ თანამშრომლობას. სასიამოვნოა, ჩვენი მიზნები და ამოცანები ერთმანეთს რომ ემთხვევა. ეს ყოველივე კი ქომაგს საქმეს გაუიოლებს და მას ყველანაირი პირობა ექნება საიმისოდ, რათა მხოლოდ მატჩზე იყოს კონცენტრირებული. ეს მხოლოდ დასაწყისია, ფეხბურთის ფედერაციასა და 09-ს კიდევ ექნებათ ერთობლივი პროექტები და გეგმები. იმედი გვაქვს, 09-სთან ერთად სტადიონზე ქომაგებს უფრო მეტად მოვიზიდავთ და ნაკრების მატჩებზე დამსწრეთა რაოდენობა გაიზრდება.

*ვოვი ქვათარაძე, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი:* მადლობა 09-ს. ჩვენ კარგ საქმეს ვიწყებთ. ამ ერთი წლის განმავლობაში ეს ცენტრი მნიშვნელოვნად დაიხვეწა და ყოვლისმომცველ ინფორმაციას ფლობს. ქომაგებს 09-ც ეტყვის და აქაც მსურს ფარერებთან მატჩის დამსწრეთა საყურადღებოდ ვთქვა, რომ ეროვნული სტადიონის სალაროები ოთხშაბათს ხუთ საათზე დაიხურება. ქომაგებს ვთხოვ, რომ ბილეთების შესაძენად იჩქარონ და საქმეს ბოლო წუთამდე ნუ მიიყვანენ. მატჩი რვა საათზე იწყება, სალარო კი ხუთის მერე აღარ იმუშავებს. კარგი იქნება, თუ სტადიონზე ქომაგი საქართველოს ნაკრების ფერებში გამოწყობილი მოვა, გუნდს ასე უფრო გავამხნევებთ. აგერ შოტლანდიელებმა გვიჩვენეს ქომაგობის კარგი მაგალითი, ეს ნამდვილი კლასიკა იყო. ისინი დიდი ხანი ცდილობდნენ ამის მიღწევას და ჩვენს თამაშზეც შესანიშნავად გამოჩნდა, რომ მათ ეს ძალიან კარგად იციან. ჩვენს კოლეგებს იქვე ვუთხარით მადლობა ქომაგთა ასეთი დახვედრა-მასპინძლობისთვის. არანაირი აგრესია, რითაც გვაშინებდნენ, იქ არ ყოფილა.

*გიორგი ხაჩიძე, საქართველოს ნაკრების ფან-კლუბის ხელმძღვანელი:* ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთის ფედერაციას ახალი პარტნიორი ჰყავს. აქამდე ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველი ბევრი იყო, მაგრამ მათ საამისო ინფორმაცია არ ჰქონდათ. ახლა ეს პრობლემა აღარ იქნება და იმედია, 09-სთან თანამშრომლობით უფრო შორს წავალთ. „საქართველოს ბანკი" და 09 ქომაგებს ჩვენს ფან-კლუბში გაწევრიანების საშუალებას ერთი სატელეფონო ზარით მისცემენ.

**კობა ინასარიძე**

# ფეხბურთის ხეივანი

**გუშინ** დილომში, „დინამო თბილისის" ბაზასთან ქართული ფეხბურთის ხეივანს ჩაეყარა საფუძველი. ხეივანი იქ მანამდეც იყო, მაგრამ ახლა ყოველივეს ოფიციალური სახე მიეცა.

ხეივნის გახსნაზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებიც მივიდა და იქვე იყვნენ ჩვენი ვეტერანებიც...

ნოდარ ახალკაცმა, კლაუს ტოპმიოლერმა და ნაკრების ფეხბურთელებმა ხეები დარგეს — ხეივანს ხეები შეემატა, „დინამოს" კი ის სიმბოლურობა, რის გამოც სწორედ მის ბაზასთან დაარსდა ქართული ფეხბურთის ხეივანი.



# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

## იტალია — შოტლანდია

**ბარიში,** „სან ნიკოლაზე“დღეს ჩვენი ჯგუფის ცენტრალური მატჩია: მსოფლიოს ჩემპიონი იტალია ჯგუფის ლიდერ შოტლანდიას მასპინძლობს.

იტალიაში დიდი ვნებათაღელვაა. ზოგიერთ გაზეთში უკვე რობერტო დონადონის გადადგომასა და მის ნაცვლად კარლო ანჩელოტის დანიშვნაზე ალაპარაკდნენ.

„თუ შედეგს ვერ მივაღწევთ, კრიტიკა სამართლიანი იქნება, მაგრამ გვაცადეთ, ვითამაშოთ. რაც ჯერ არ მომხდარა, იმაზე წინასწარ რატომ ლაპარაკობთ?! ბოლო დღეებში პრესაში იმდენი ტყუილი დაიწერა, ენციკლოპედია გამოვიდოდა. მაგას ის სჯობს, მეტი პატივი გვცეთ ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ. ისე, რომ იცოდეთ, ეს მითქმა-მოთქმა არაფერს შეცვლის. მე არავის ჩარევა არ მჭირდება და რასაც ვფიქრობ, იმას ვაკეთებ“ — განაცხადა დონადონიმ.

მას მხარს უჭერს „ლიგა კალჩოს“ შეფი ლუკა მატარეზეც: „უკეთესი იქნება, დონადონიმ გაზეთები კი არ იკითხოს, მატჩზე იფიქროს. ჩვენ მისი იმედი გვაქვს.“

ჯენარო გატუზოს აზრით კი, ცოტა იღბალიც საჭიროა: „ჩვენ ლიტვასთან ორი გაუთვალისწინებელი ქულა დავკარგეთ, ახლა ამის უფლება აღარ გვაქვს. ცოტა იღბალიც გვინდა, ისეთი, შოტლანდიას რომ ჰქონდა საქართველოსთან.“

იყო ლაპარაკი, შოტლანდიასთან მატჩში იტალიელებს ჯანლუიჯი ბუფონი დააკლდებოდათო — ჯიჯიმ მუცელი აიტკივა. დონადონიმ მის ნაცვლად უდინეზელ მორგან დე სანტისს კი უხმო, მაგრამ მომჯობინებულმა ბუფონმა გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა.

მცირე ტრავმა მოირჩინა და სამი დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს „რომას“ ნახევარმცველი სიმონე პეროტა და არ არის გამორიცხული, დონადონიმ იგი შოტლანდიასთან სასტარტოშიც დააყენოს.

შოტლანდიელებს ისევ დააკლდებიან დარენ ფლეტჩერი და ჯეიმს მაკფადენი, მაგრამ დაუბრუნდებათ დისკვალიფიკაციამოხდილი სელტიკელი მცველი სტივენ პრესლი.

სქოთები იტალიაში დიდ გულზე ჩავიდნენ და წაგების გაგონებაც არ უნდათ. სელტიკელ პოლ ჰარტლის იტალია არ აშინებს და ქულის აღების იმედი აქვს. კაპიტან ბარი ფერიგიუსონის აზრით კი შოტლანდიას მოგებაც ძალუძს.

აპენინელებს არ უფრთხის სქოთთა თავკაცი ალექს მაკლიშიც: „მეტოქე ცხრილში ჩვენს უკანაა და ეს ფაქტი მათ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ამყოფებს. ეს ყველაფერი ჩვენს შანსებს ზრდის. ცხრილის თავში ვართ და ვეცდებით, ეს ადგილი შევინარჩუნოთ. სასურველი შედეგის შემთხვევაში თავდაჯერებულად და კომფორტულად ვიგრძნობთ თავს.“

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# გვაცადეთ, ბატონო!
## დონადონი შოტლანდიას და მედიას ეთამაშება

ჯანლუიჯი ბუფონის მუცლის ტკივილმა იტალია შეაშინა

# უკრაინა ფიქრობს ლიდერობაზე...



სერგეი რებროვი და ანდრეი შევჩენკო

# ...ლიტვა შედეგზე



ედგარას იანკაუსკასი და ალგიმანტას ლიუბინსკასი

## უკრაინა — ლიტვა

**უკრაინელები** ლიტვის ნაკრებს ოდესაში დაუხვდებიან და შესაძლოა, მასპინძელთაგან ითამაშონ ანდრეი შევჩენკომ და სერგეი რებროვმა — მათ 24 მარტს ფარერებთან არ უთამაშიათ. ტრავმირებული რუსლან როტანის მოედანზე გასვლა კი გამორიცხულია.

„ფარერებთან თამაში შესანიშნავი ვარჯიში იყო. არც შორ მგზავრობას უმოქმედია ფეხბურთელებზე. შესანიშნავი შანსი გვაქვს, ჯგუფის ლიდერებში მოვხვდეთ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. გუნდი კარგ ფორმაშია და, დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ“ — განაცხადა უკრაინელთა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა.

გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებულია „შახტარის“ ვიცეკაპიტანი დმიტრი ჩირგინსკიც: „მეტოქის ძლევა არ უნდა გაგვიჭირდეს, თუმც ამისთვის ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. თამაშს 90 პროცენტით ნამდვილად ვერ მოვიგებთ, ლიტვა ფარერები არ არის“.

ლიტველებს ისევ არ ეყოლებათ ტრავმირებული ლიდერი ედგარას იანკაუსკასი, არ იქნებიან ასევე ფრანგებთან მატჩში დაშავებული მისი ჰართსელი თანაგუნდელები — მარიუს ჟალიუკასი, საულიუს მიკოლიუნასი და ანდრიუს ველიჩკა.

ბრიტანული კვარტეტის დანაკლისის მიუხედავად ბალტიისპირელები მაინც იმედიანად არიან და უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებენ.

„ჩვენ ყველა აუტსაიდერად გვთვლის და ეს დამატებით მოტივაციას გვაძლევს. წაგების გარდა ოდესაში ყველა შედეგით ვიქნები კმაყოფილი. თანახმა ვარ, გუნდმა იმაზე ცუდად ითამაშოს, ვიდრე საფრანგეთთან, ოღონდ არ წავაგოთ“ — თქვა ლიტველთა მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა.

რა თქმა უნდა, წაგება ლიუბინსკასს და მის ფეხბურთელებს ნამდვილად არ უნდათ, მით უფრო, რომ ლიტვის ფეხბურთის ფედერაცია მოგების შემთხვევაში გუნდს 55 000 ევროს შეპირდა.

ლიუბინსკასი არც უკრაინელთა ლიდერ შევჩენკოზე აპირებს განსაკუთრებული ზომების მიღებას: „შევჩენკოს პერსონალურად არავინ აიყვანს. დაცვა ჩვეულებრივ გადაკეტავს ზონებს. იმედი მაქვს, ბიჭები ამას შეძლებენ“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ჩვეულებრივი რასიზმი
# ლიტვაში ფრანგები გააზანგეს

**ლიტვის** პოლიცია იმ გულშემატკივარს ეძებს, რომელმაც ლიტვა — საფრანგეთის მატჩისას სტადიონზე რასისტული ბანერი გამოაკრა. ბანერზე აფრიკის რუკა საფრანგეთის დროშის ფერებით იყო გაწყობილი და „აშშვენებდა“ წარწერა — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპაში.

„პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება. გასარკვევია, ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ ინციდენტზე. თავის მხრივ, ფეხბურთის ფედერაციაც კეთილგონიერებისკენ მოუწოდებს გულშემატკივრებს“ — განაცხადა ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვაიდოტას რასტენისმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:2 | 12 |
| შოტლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| უკრაინა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 10:11 | 3 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 0:20 | 0 |

### დღეს

უკრაინა — ლიტვა
საქართველო — ფარერები
იტალია — შოტლანდია

# ამბავი დიადი შერეკილისა





**პარასკევს** იტალიაში პრემიერაა: ეკრანებზე გამოდის ფილმი „მარადონა — ღმერთის ხელი“.

ვის ეძღვნება ეს კინო, გასაგებია: რეჟისორი მარკო რიზი (რეჟისორ დინო რიზის ვაჟი და პოეტისა და რეჟისორის ნელო რიზის ძმისშვილი) ლეგენდარული დიეგო მარადონას აღმასვლისა და დაცემის თემას შეეჭიდა. ფილმში დამალული არაფერია, მათ შორის, არც დიდი ვარსკვლავის ნარკომანობის ამბავი.

„დიახ, დიეგო კოკაინს ეძალებოდა, მაგრამ ის მთავრობის წევრი ხომ არ იყო?! — ამართლებს თავის პერსონაჟს რეჟისორი — მარადონა გენიოსი გახლდათ და თუ ის ვინმეს ვნებდა, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს“.

და აი, რიზის კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება — 1986 წლის მუნდიალზე ინგლისის ნაკრების კარში ხელით გატანილი გოლი შემოქმედებითი ბუნების გამოვლინება ყოფილა.

საბოლოოდ ფილმის თემა ასეთია: ნარკომანი, რომელსაც გოლი ხელით გააქვს, დოპინგ-კონტროლზე სხვის წინასწარ გამზადებულ ანალიზს, ჩვეულებრივი სიტყვებით კი, შარდს აბარებს, ემალება გადასახადებს, ღალატობს ცოლს და... რჩება დიადად.

მაისში მარკო რიზის ფილმს კანის კინოფესტივალზე ჩაიტანენ. დიდი დიეგოს როლს 29 წლის არგენტინელი მსახიობი აბელ აიალა თამაშობს.

**პაპუნა ქედია**



ფრანგული „ლიონის“ და საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ფლორენ მალუდამ აღნიშნა, რომ კლუბის გამოცვლაზე ფიქრობს, მაგრამ ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ ძლიერი გუნდისგან მიიღებს მიმზიდველ წინადადებას.
26 წლის შემტევი ნახევარმცველი ბოლო წლებში ჩინებულად თამაშობს და ამჟამად თავი პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.
მისით ბევრი კლუბია დაინტერესებული, მათ შორის, ლონდონის „არსენალი“ და ტურინის „იუვენტუსი“; „ლიონთან“ კონტრაქტი კი 2011 წლამდე აკავშირებს...

# გამომეხმაურონ დიდები

## ლიონიდან მალუდაც გარბის

„სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები. „ლიონთან“ ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს და მის დარღვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვისურვებ, თუ უფრო ძლიერი გუნდისგან მივიღებ წინადადებას. „ლიონზე“ ძლიერი კი დღესდღეობით ბევრი სულაც არ არის“ — თქვა მალუდამ.

„შატორუსა“ და „გენგამის“ ყოფილ ფეხბურთელს ზაფხულში „ლომებისგან“ წასვლა იმიტომ აშინებს, რომ ფიქრობს, საფრანგეთიდან სხვა ქვეყანაში გადასვლა ეროვნულ ნაკრებში მოხვედრას გაურთულებს.

ფლორენ მალუდა: „არ ვიცი, რეალურად ღირს თუ არა „ლიონის“ დატოვება ევრო 2008-მდე ერთი წლით ადრე. მსურველები ინგლისიდან და იტალიიდან არიან. „იუვენტუსი“ და „არსენალი“? ორივე დიდი გუნდია, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია. მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობ, ბევრი კლუბი მაკვირდება...

...ისე, მომავალი სეზონისთვის შეიძლება „ლიონიც“ გაძლიერდეს და ამ შემთხვევაში წასვლაზე ევრო 2008-ის მერე ვიფიქრებ...

...შეუძლია თუ არა ჩემს მეგობარ დიდიე დროგბას, „ჩელსიში“ გადასვლაზე დამიყოლიოს? ლონდონურ კლუბში ახლა გაურკვევლობაა. ჯერ ისიც არ არის გარკვეული, მომავალ სეზონში მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ იქნება თუ არა“.

**კოკი კანდელაკი**

# ფაბიო კანავარო მადრიდს ეკვრის, ნაპოლის ეტრფის

„სკუადრა აძურას“ კაპიტან ფაბიო კანავაროს მრავალჯერ უთქვამს, კარიერის დასრულება მშობლიურ „ნაპოლიში“ მინდაო.

ჰოდა, შესაძლოა, იგი მომავალი სეზონიდანვე ვიხილოთ ნეაპოლურ გუნდში.

კანავაროს მადრიდის „რეალში“ საქმეები მთლად კარგად ვერ მისდის და სეზონის ბოლოს გუნდის გამოცვლას ალბათ სიამოვნებით დათანხმდება. მსურველებიც არიან, „ნაპოლის“ თამადობით, თუმცა იქამდე ნეაპოლელებმა სერია A-ში დაბრუნება უნდა გაინაღდონ.

„ნაპოლის“ გენერალური დირექტორი პიერპაოლო მარინო 33 წლის მცველს ცოტა ხნის წინ რიმინიში შეხვდა და, ცხადია, ამ ტრანსფერზე ესაუბრა.

შეგახსენებთ, რომ ნეაპოლელთა რიგებში თამაშობს ფაბიოს უმცროსი ძმა პაოლო, რომელიც ასევე ცენტრალური მცველია.

— „რეალთან“ ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ მარინოსაც ველაპარაკები ხოლმე. მან იცის, მე რა მინდა“ — განაცხადა კანავარომ.

**გიორგი კაკაბაძე**

# არსენ ვენგერს გამოაქანდაკებენ

## სტენ კრენკემ ათი პროცენტი მოიკითხა



**ლონდონის** „არსენალის“ ახალი სტადიონის, „ემირატის“ ტერიტორიაზე არსენ ვენგერის ბრინჯაოს ქანდაკებას დადგამენ — წერს THE PEOPLE.

ფრანგი სპეციალისტის ძეგლი „მეთოფეთა“ ლეგენდარულ მწვრთნელ ჰერბერტ ჩეპმენის ქანდაკების გვერდით დაიდგმება.

1925-1934 წლებში ჩეპმენის „არსენალმა“ სამჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი და ერთხელ ასოციაციის თასი. 1996 წლიდან კი ვენგერის ხელში „მეთოფეებმა“ სამჯერ იმარჯვეს პრემიერლიგაში, ოთხჯერ ასოციაციის თასი დაისაკუთრეს და ორჯერ ლიგის თასი. გარდა ამისა, 2003-04 წლების სეზონი სულაც წაუგებლად ჩაამთავრეს.

„გარდიანი“ კი ამტკიცებს, რომ „არსენალის“ აქციათა 10 პროცენტის ყიდვა განუზრახავს ამერიკელ მილიარდერ სტენ კრენკეს. მისი ქონება „ფორბსის“ მიხედვით, ორი მილიარდი დოლარია.

კრენკე კლუბის ერთ-ერთ აქციონერს დაუკავშირდა და 10-პროცენტიანი წილის შესაძლო ყიდვაზე ესაუბრა. ერთი თვით ადრე ამერიკელი ბიზნესმენის კორპორაციამ „არსენალთან“ ხელშეკრულება გააფორმა მარკეტინგულ თანამშრომლობაში.

კრენკე ფლობს საფეხბურთო კლუბ „კოლორადო რეპიდს“, საკალათბურთო „დენვერ ნაგიტსს“ და ჰოკეის „კოლორადო ევალანშს“.

„არსენალის“ ფასი ამჟამად 404 მილიონი გირვანქაა, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ 700 მილიონზე ნაკლებად არ გაიყიდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჰერბერტ ჩეპმენის ბიუსტი

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



სერბეთის მომლოდინე პორტუგალია

## რა უთხრა რონალდუმ ვიდიჩს?

A ჯგუფი

**სერბეთი — პორტუგალია**

**წინა** შაბათს სტუმრად ყაზახეთთან მოულოდნელად დამარცხებული სერბეთი საუცხოოდ მოთამაშე კრიშტიანუ რონალდუს და პორტუგალიას უმასპინძლებს, რომელმაც ოც წუთში გატანილი ოთხი გოლით მოუგო ბელგიას.

სერბთა ცენტრალურ მცველ ნემანია ვიდიჩს, ვინც დეიან სტანკოვიჩის დისკვალიფიკაციის გამო ყაზახეთში ნაკრებს კაპიტნობდა, სჯერა, რომ თანაკლუბელ რონალდუს უკეთ გაუმკლავდება, ვიდრე ეს ბელგიელთა დაცვამ შეძლო: „დიდი ბრძოლა მოგვიწევს პორტუგალიის დასამარცხებლად, მაგრამ ყაზახეთში წაგებით თვითონ ჩავიგდეთ თავი რთულ ვითარებაში და უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს. დარწმუნებული ვარ, მოგება შეგვიძლია და სამისოდ ფანების მხარდაჭერა დაგვჭირდება. ვფიქრობ, რომ ღია, ლაღი და შემტევი ფეხბურთი გამოვა. ჯერ კიდევ 9 თამაში გვაქვს დარჩენილი და უიმედოდ სულაც არ ვართ ყაზახეთთან წაფორხილების გამო. სხვათა შორის, სწორედ ეს მითხრა კრიშტიანუმ, როცა მათ მოულოდნელად პოლონეთში წააგეს".

ყაზახებთან მარცხის შემდეგ ხავიერ კლემენტეს სასტარტო შემადგენლობა და ტაქტიკა დაუწუნეს. დღეს მას სასჯელმოხდილი სტანკოვიჩი დაუბრუნდება, თუმც აყლაყუდა ფორვარდი ნიკოლა ჟიგიჩი დააკლდება, რომელიც შაბათის მატჩში გააძევეს.

თავის მხრივ, გამარჯვებაზე ფიქრობს მსოფლიოს ჩემპიონი ლუიშ ფელიპე სკოლარი: „ბელგრადში მოგება სატურნირო პოზიციას ერთიორად გაგვიუმჯობესებს — თქვა ბრაზილიელმა — სერბთა მარცხმა ყაზახეთში ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი, მაგრამ ცხრილის თავში პოლონეთია, რომელიც ამჟამად საუკეთესო გუნდია ჯგუფში".

**ვაჟა ხუციშვილი**

**აზერბაიჯანი — ფინეთი**

**პოლონეთი — სომხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| ფინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| სერბეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 12:3 | 10 |
| ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | 7 |
| ყაზახეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| სომხეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | 1 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:13 | 1 |

## ბოლო თურქობა ფრანკფურტში
## ჩრდილოური კომპლექსი

C ჯგუფი

**თურქეთი — ნორვეგია**

**ბერძნებთან** პრინციპულ მატჩში გამარჯვებით გალაღებული თურქეთი დღეს ნორვეგიას უმასპინძლებს და მიჯრით მეხუთე თამაშის მოგებას შეეცდება.

ფატიჰ თერიმის გუნდი ჩრდილოელებს ფიფასგან მიღებული დისკვალიფიკაციის გამო ფრანკფურტში დაუხვდება.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის ნოემბერში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის პლეი ოფში, თურქებმა სტამბოლში შვეიცარიის ნაკრებთან იჩხუბეს და ფიფელებმაც ოთხი საშინაო მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა უბრძანეს.

ფრანკფურტის შემდეგ ოსმალოებს სტამბოლში თამაშის უფლება ექნებათ.

ფატიჰ თერიმისთვის კარგი ამბავი ისაა, რომ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება შვეიცარიელებთან მოჩხუბარი და დისკვალიფიცირებული ემრე ბელოზოღლუ.

„უფრო რთული მატჩი გველის, ვიდრე ბერძნებთან — თქვა თერიმმა — შემადგენლობაში და ტაქტიკაში მცირე ცვლილებებს ვაპირებ."

თურქებს ბოლო წლების განმავლობაში ჩრდილოურ გუნდებთან თამაში უჭირდათ და იოლად ალბათ დღესაც ვერ მოიგებენ. ნორვეგიელებს დააკლდებათ მთავარი ნახევარმცველი მორტენ გამსტ პედერსენი, რადგან ყვითელი ბარათები დაუგროვდა და მას კრისტიან გრინდეიმი შეცვლის. შესაძლოა, სასტარტო თერთმეტეულში გამოჩნდეს ფორვარდი სტეფენ ივერსენი, რადგან წინა შაბათს ბოსნიასთან შინ წაგებულ მატჩში ძალიან ცუდად ითამაშა ფროდე იონსენმა.

არ იქნება ტრავმირებული ოლე გუნარ სოლსკიაერი და ივერსენს შეტევაში იონ კარეუ შეუწყვილდება, რომელმაც ბოსნიელებთან პენალტი გაიტანა და რამდენიმე კარგი მომენტიც გაანიავა...

**რომან თურქია**

**უნგრეთი — მოლდოვა**

**მალტა — საბერძნეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:1 | 12 |
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 0 | 2 | 7:3 | 6 |
| მალტა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:11 | 2 |

## მსჯელობა საშინელ თემაზე
### სოჰო-ჰო-ჰო, რა მოხდება...



სტივ მაკლარენი

AFP

E ჯგუფი

**ანდორა — ინგლისი**

**ინგლისში** ანდორასთან თამაშის წინ საქმე ასეა: თუ ნაკრები თავს გაიპამპულებს, სტივ მაკლარენს შეწვავენ.

ცნობისთვის: ეს სიტყვები ჩვენი არ გეგონოთ, ინგლისური პრესიდან არის გადმოწერილი.

მოკლედ, ინგლისელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელს დიდი შანსი აქვს, სოჰო სკვერზე დაიბარონ (იქ ფეხბურთის ასოციაციის ოფისია) და მარტივი კითხვა დაუსვან: „რატომ, სტივ?"

რასაკვირველია, შანსი იმისა, რომ „სამი ლომი" დღეს ბარსელონაში (ანდორა ბარსელონასთან არის ახლოს) დამარცხდება, ნაკლებია, მაგრამ ლონდონში წაგებები და ვერმოგებები ისე აქვთ მობეზრებული, რომ უკვე ყველაფერზე ლაპარაკობენ. ისე, ინგლისში ანდორასთან წაგება თემად რომ იქცევა, სულ 10:0 რომ მოიგო, მაინც ცუდის ნიშანია.

ცუდი კი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ ინგლისის ნაკრებში ურთიერთობებია არეული. მერედა, მოგეხსენებათ, შაბათს ისრაელში ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ მწვრთნელმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავ უეინ რუნის წინააღმდეგ გაილაშქრა — რის შესახებაც გუშინდელ „სარბიელში" მოგახსენეთ — მანჩესტერულის წინააღმდეგ გალაშქრება კი ამ გუნდის ენამწარე შეფის, ალექს ფერგიუსონის წყენინებას ნიშნავს. ფერგიუსონმა არც აცია, არც აცხელა და ხმამაღლა განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელისგან განტევების ვაცის შექმნას ცდილობენ, რასაც ნაკრების თავკაცის შემრიგებლური პასუხი მოჰყვა:

„მე და უეინს საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს. მას მწვრთნელისა და მოთამაშის სამაგალითო ურთიერთობაც კი შეიძლება ვუწოდოთ. რა მნიშვნელობა აქვს, რა მოხდა შაბათს თამაშის შემდეგ, მთავარია, რომ ყველაფერი ძველებურადაა. დანარჩენი კი ჩვენს შორის დარჩება. მე ფეხბურთელებს გასახდელს გარეთ არასდროს ვაკრიტიკებ".

გუშინდელ „სანში" ეწერა ფეხბურთის ასოციაციის მავანი ინკოგნიტო დიდმოხელის ასეთი ციტატა: „ჩვენ მწვრთნელი კი არა, ლიდერი გვჭირდება. მაკლარენს უახლოეს დღეებში აუცილებლად შევხვდებით".

მეორე დიდმოხელეს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რა მოხდება, ინგლისმა ანდორასთან ფრედ რომ ითამაშოს...

პასუხი: „მაკლარენი ამას ვეღარ გადაურჩება. ამ შემთხვევაში მასზე არანორმალური ზეწოლაა მოსალოდნელი".

სხვათა შორის, რა მოხდება ანდორასთან წარუმატებლობის შემთხვევაში, თვით მაკლარენსაც ჰკითხეს. მწვრთნელმა მიუგო:

„ამაზე არ ვფიქრობ, რადგან ეს ჩემი თემა არ არის. ზეწოლას ნაკრების მწვრთნელი ყოველთვის განიცდის. ჩემი ამოცანა მუშაობა და ნაკრების თამაშის გაუმჯობესებაა. დღევანდელი იმედგაცრუება ბოლოს და ბოლოს უნდა გადავლახოთ".

სხვათა შორის, ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი ბრაიან ბერვიკი მაკლარენს კვლავ აშკარად უჭერს მხარს, მაგრამ თუ ინგლისმა ანდორას ვერ მოუგო, ვერც ეს ერთგული მხარდამჭერი მოახერხებს მის გადარჩენას.

ერთი სიტყვით, ზედიზედ ხუთი თამაშის ვერმოგებისა და ამ შეხვედრებში მხოლოდ ერთი გოლის გატანის შემდეგ ინგლისის ნაკრებში (ჯერჯერობით მოედანზე) ცვლილებებია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, ენდი ჯონსონს, ჯეიმი კარაგერს და ფილ ნევილს ჯერმენ დეფო, ეშლი კოული და მიკ რიჩარდსი შეცვლიან. ყველაზე მეტად გაკრიტიკებული რუნი და ფრენკ ლამპარდი კი შემადგენლობაში დარჩებიან...

**პაპუნა ძიდია**

**ისრაელი — ესტონეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| რუსეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:2 | 8 |
| ისრაელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 |
| მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ესტონეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:19 | 0 |

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ისლანდიამ ბუცები ესპანეთში იყიდა

**F ჯგუფი**

**ესპანეთი — ისლანდია**

**ცუდ** ფეხზე ჩაფიდა ისლანდიის ნაკრები ბალეარის კუნძულებზე. ჩრდილოელთა ექსპედიციის რამდენიმე წევრს ბუცები არ აღმოაჩნდა და იძულებულნი გახდნენ, პალმას სპორტული მაღაზიები მოენახულებინათ. ესპანურმა მედიამ კი უმალ აღნიშნა, ცრუმორწმუნეები არ ვართ, მაგრამ არა გვგონია, ბრძოლის ველზე თოფ-იარაღის გარეშე გამოცხადება ისლანდიელთათვის კარგს მოასწავებდესო.

ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ, ეტყობა, ისლანდიელები ესპანეთის გეოგრაფიასთან მწყრალად არიან. იქაურმა ფედერაციამ ნაკრების ეკიპირება კუნძულებზე ეროვნული გუნდის ჩასვლამდე გააგზავნა, ოღონდ საკითხავია, რომელზე... ჩრდილოელთა ბარგი ბალეარული პალმას მაგივრად კანარულ ლას პალმასზე მოხვდა, იქ კი 19 ჩემოდნიდან 5 უკვალოდ დაიკარგა.

სანამ სტუმართა დელეგაცია სპორტულ მაღაზიებს ეძებდა, ესპანელმა ჟურნალისტებმა ისლანდიის ნაკრების კაპიტანი ეიდურ გუდიონსენი მოიხელთეს...

„რა თქმა უნდა, ამ შეხვედრაში ფავორიტი ესპანეთია. ჩვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი შვედეთის და ნორვეგიის ჩემპიონატებში თამაშობს, ამ ქვეყნებში კი ახლა შესვენებაა და ისინი სათანადო ფორმაში ვერ არიან... მაყურებელიც ალბათ ზეგავლენას მოახდენს თამაშზე, თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ „ონო ესტადის“ არენასთან მშვენიერი მოგონებები მაკავშირებს. აქ ადრე ორი გოლი გავიტანე, რის გაკეთებას ახლაც ვაპირებ“ — განაცხადა „ბარსელონას“ თავდამსხმელმა.



ლუის არაგონესი

ისლანდიას ინგლისური „ჩარლტონის“ ტრავმირებული ფეხბურთელი ჰერმან ჰრეიდარსონი გამოაკლდება. ასევე არ ითამაშებს ნახევარმცველი იოჰანეს გუდიონსონი, ვისი მეუღლეც დღე-დღეზე ბავშვს ელოდება...

ჩრდილოელთა მწვრთნელი ეიოლფურ სვერისონი გახლავთ, რომელმაც ერთხელ უკვე გაამწარა ესპანეთი — სვერისონმა ფეხბურთელობისას „ფურია როხას“ გოლი გაუტანა და ევროპის ჩემპიონატს მიღმა დატოვა. ეს ამბავი 1991 წელს რეიკიავიკში მოხდა.

დღევანდელი „როხა“ რაღას აპირებს? ცხადია, მოგებას, მაგრამ იქაურები, რაც უნდა სანაკრებო დღეები იყოს, „ბარსა“-„რეალის“ მარადიულ მტრობას მაინც ყველაზე წინ აყენებენ. პალმას აეროპორტში გამოჩენილ ვალენსიელ დავიდ სილვას (დანიასთან ამასწინანდელი მატჩის ერთ-ერთ გმირს) იქ თავმოყრილმა იჩნასებმა ხან „რეალში“ გადადიო, უღრიალეს, ხან „ბარსელონა“ შეუქეს... გააჩნია, ვინ რომელ გუნდს გულშემატკივრობდა.

ესპანეთმა ჩრდილოელთა პირველი შემოსევა („ბერნაბეუზე“ დანიას 2:1 მოუგეს) წარმატებით მოიგერია, ახლა კი ისლანდიელების შეჭმას გეგმავს.

სავარაუდოდ, „ონო ესტადიზე“ ანდრეს ინიესტა არ ითამაშებს. ლუის არაგონესს ბარსელონელის დანიასთან ბურთაობა არ მოეწონა და მისი სესკ ფაბრეგასით ჩანაცვლებას აპირებს.

„დანიასთან მეორე ტაიმში სუსტად ვითამაშეთ. იმედია, ისლანდიასთან მთელ მატჩს მაღალ დონეზე ჩავატარებთ და შეხვედრაც ჩვენი გამარჯვებით დასრულდება“ — განაცხადა „ფურია როხას“ მწვრთნელმა ლუის არაგონესმა.

**ლადო ხომერიკი**

# ნეკი ნეკისა: იბრა უბრად აღარ არის

**ჩრდ. ირლანდია — შვედეთი**

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ბოლოს და ბოლოს გაარკვია ურთიერთობა შვედეთის ნაკრების მწვრთნელ ლარს ლაგერბეკთან და დღეს თანამემამულეებთან ერთად ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების დალაშქვრას აპირებს.

რა იყო ლაგერბეკისა და „ინტერის“ ვარსკვლავის დაპირისპირების მიზეზი? სექტემბერში, შვედეთისა და ლიხტენშტაინის ნაკრებთა თამაშის წინა საღამოს იბრაჰიმოვიჩი ბანაკიდან გაიპარა, თან ოლაფ მელბერგი და კრისტიან ვილჰელმსონი გაიყოლა და ღამის ორის თხუთმეტ წუთამდე მოულხინა. ამან მწვრთნელი, ბუნებრივია, გააფიცხა და ბოსნიური წარმოშობის შვედი ისლანდიასა და ესპანეთთან აღარ გამოიძახა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში იბრაჰიმოვიჩი ამტკიცებდა, რომ მას არაფერი დაუშავებია, ბოლოს კი მწვრთნელს დაელაპარაკა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღეს გამარჯვებას აპირებს.

„ჩვენ ჩრდილოირლანდიელთა თამაშების ვიდეოჩანაწერები ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ მეტოქედ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს — თქვა თავდამსხმელმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში „ინტერის“ შემადგენლობაში 25 შეხვედრაში 17 გოლი გაიტანა — ჩრდილოირლანდიელებმა ამ გათამაშებაში ესპანეთი დაამარცხეს, ასე რომ, ვიცით, იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის. ყველას მაგრად უნდა დავუდგეთ, მაგრამ გამორჩევით, არც დევიდ ჰილი უნდა დავივიწყოთ. მან ბოლო ტურში სამი გოლი გაიტანა და სადღეისოდ ჩინებულ ფორმაშია“.

ის, რომ დღევანდელი მატჩი მძიმე იქნება, ცხადია, თავად ლაგერბეკმაც კარგად იცის, მაგრამ ამის მიუხედავად, იმედი აქვს, რომ მისი ნაკრები ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას მოიპოვებს...

„სასტარტო შემადგენლობას უშუალოდ თამაშის დღეს გამოვაცხადებ. როგორც იცით, ზლატანი კვლავ ჩვენთან არის და ვფიქრობ, შესაძლოა, ვათამაშო კიდეც. რაც შეეხება ჩრდილოეთ ირლანდიას, კარგად ორგანიზებული გუნდია, რომელიც განსაკუთრებით შინ არის ძლიერი, თუმცა ისიც ვიცი, რომ თუ საკუთრივ ჩვენ ვითამაშებთ კარგად, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ“.

იბრაჰიმოვიჩის დაბრუნების შესახებ თავისი მოსაზრება თქვა მეკარე ანდრეას ისაკსონმაც...

„ზლატანი რომ დიდი თავდამსხმელია, იტალიის ჩემპიონატიდან ჩანს ძალიან კარგად — თქვა მან — ახლა ის დაგვიბრუნდა და ვიმედოვნებ, რომ შვედეთის ნაკრებისთვის გოლებს გაიტანს. თავად კი დევიდ ჰილს უნდა ვუფრთხილდეთ. მიმდინარე გათამაშებაში ჩრდილოირლანდიელთა რვა გოლიდან შვიდი მისი გატანილია, ეს კი ძალიან კარგი შედეგი გახლავთ. ვფიქრობ, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები დღეისთვის ბრიტანეთში საუკეთესო გუნდია“.

**ბაკურა ძიძია**

**ლიხტენშტაინი — ლატვია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |



# კასილიასი არკონადას გაუთანაბრდა

**იკერ კასილიასი** დღეს პალმა დე მალიორკას „ონო ესტადიზე“ სანაკრებო კარიერაში რიგით 68-ე მატჩს გამართავს — მადრიდის „რეალის“ და „ფურია როხას“ მეკარე ამ მაჩვენებლით ესპანური ფეხბურთის ლეგენდარულ გოლკიპერ ლუის არკონადას გაუტოლდება.

კასილიასის სანაკრებო დებიუტი 2000 წლის 3 ივნისს შედგა. ახლა იკერი 25 წლისაა, მაგრამ შესანიშნავი წარსული და არანაკლებ კარგი მომავალი აქვს. რეალელი არკონადას შეცვლის და წინ მარტო ანდონი სუბისარეტა რჩება — „სუბის“ კასტილიელთა ნაკრებში 126 მატჩი გაუმართავს.

ანდონი სუბისარეტას კასილიასის ასაკში ნაკრებში მხოლოდ 22-ჯერ ჰქონდა ნათამაშევი. იკერი კი, როგორც მოგახსენეთ, უკვე 68-ს უმიზნებს.

ასე რომ, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ტიტულიან მეკარეს ნამდვილად შესწევს ძალა, „სუბის“ დაეწიოს...

**ლადო ხომერიკი**

**D ჯგუფი**

**ჩეხეთი — კვიპროსი**

**ირლანდია — სლოვაკეთი**

**უელსი — სან მარინო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 21:3 | 13 |
| ჩეხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:4 | 10 |
| სლოვაკეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 15:10 | 9 |
| ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 1 | 3 | 9:15 | 4 |
| უელსი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:26 | 0 |

**G ჯგუფი**

**ბულგარეთი — ალბანეთი**

**რუმინეთი — ლუქსემბურგი**

**სლოვენია — ჰოლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 7 |
| სლოვენია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |




AFP

F ჯგუფის ლიდერი: შვედეთი

# ძალიან, ძალიან პრაქტიკული ტიპი

## ანჩელოტიმ ბერლუსკონის ანჩელოტი ურჩია



„გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ იწინასწარმეტყველა, თუ ვინ შეხვდება ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

იგი უკვე ხუთნელინადნახევარია, „მილანში“ მუშაობს, რაც მისთვის არც ბევრია და არც ცოტა, „მილანში“ თავის მემკვიდრედ კი მაურო ტასოტის ხედავს...

— შარშან ზაფხულს „მილანზე“ დაწერილმა სტატიებმა გამალიზიანა, ამიტომაც ვიკავებდი თავს განცხადებებისგან. კალჩოპოლის სკანდალი ძალიან მძიმედ გადაიტანა იტალიამ და ვფიქრობ, რომ „მილანს“ უსამართლოდ მოექცნენ. ჩვენ მუდამ ღიად და პატიოსნად ვმოქმედებდით. შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ვებრძოდით დესტრუქციულ ძალებს იტალიურ ფეხბურთში, თუმც „მილანი“ თავისდაუნებურად აღმოჩნდა ამ ბინძურ თამაშებში. შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში „იუვენტუსთან“ მატჩებში მსაჯებმა ჩვენ წინააღმდეგ უსტვინეს, რაც იმ შეხვედრების ოქმებშიცაა აღწერილი. ჩემი აზრით, „მილანი“ მთელი ამ სკანდალის მსხვერპლია და ტყუილუბრალოდ დაგვსაჯეს ძალიან მკაცრად.

— პრობლემები მოგვარდა?

— მგონი, კი. მსაჯობის გარშემო კამათი ყოველთვის იქნება და ეს ბუნებრივიცაა. მთლიანობაში კი ჩვენს ფეხბურთში კლიმატი გაუმჯობესდა, უფრო მშვიდად მუშაობის საშუალება გვაქვს. ბევრი ახალგაზრდა არბიტრი გამოჩნდა, რომლებიც საქმეს კარგად აკეთებენ. „მილანის“ პრობლემა კი ისაა, რომ შარშანდელი სკანდალი მაინც ტვირთად გვაწევს. კლუბი ვერ გავიდა საფეხბურთო ბაზარზე მაშინ, როცა სხვებს ამის შესაძლებლობა ჰქონდათ. მოუმზადებლად ვითამაშეთ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში იმ ფეხბურთელებით, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დასვენება ვერ მოასწრეს. ამან გუნდში ბალანსის დარღვევა გამოიწვია. მოკლედ, შარშან ზაფხულს ყოველ ნაბიჯზე პრობლემებს გვიქმნიდნენ.

— ახლა როგორ ფორმაშია გუნდი?

— სპორტული კუთხით ყველაფერი წესრიგშია. საეჭვო და გაურკვეველი არაფერია, როგორც კალჩოპოლის სკანდალის დროს იყო, თუმც კატანიაში მომხდარის შემდეგ გუნდს გზადაგზა მოუხდა სხვა ტალღაზე გადაწყობა: კანონები გამკაცრდა და უსაფრთხოების ზომების დაცვას მკაცრად ითხოვენ. კიდევ, საჭიროა, რომ ხალხი პოლიციას მეტი პატივისცემით მოეპყროს. იტალიაში ხომ მოძრაობის მომწესრიგებელ პოლიციელსაც კი ხშირად შეურაცხყოფენ.

— ესპანურ პრიმერადივიზიონში ხშირად თავს იწონებენ და სერია A-ს აკრიტიკებენ, არადა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ორი იტალიური გუნდია, ესპანური კი — ერთი.

— ჩვენი ფეხბურთი ტექნიკაში არავის ჩამორჩება, ხოლო ტაქტიკურად ძალიან ბევრს სჯობია. იტალიურ გუნდებთან, თუნდაც გრანდი არ იყოს, ვერავინ გაისეირნებს.

— ამჟამად ევროპაში საუკეთესო კლუბი რომელია?

— ალბათ „მანჩესტერი“, რომელიც ხალხს ლამაზ სპექტაკლებს ჩუქნის.

— საუკეთესო მეკარე?

— ჯანლუიჯი ბუფონი, მერე კი დიდა და პეტრ ჩეხი.

— მცველი?

— ალექსი, პსვ-დან.

— ნახევარმცველი?

— თუ მილანელებს არ ჩავთვლი, ფრენკ ლამპარდი. კარგები არიან სტივენ ჯერარდი და დანიელე დე როსიც.

— ფორვარდები?

— დიდიე დროგბა, სამუელ ეტოო და ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

— დაბოლოს, მწვრთნელი?

— მარჩელო ლიპი.

— თქვენს შემცვლელად ვის მიიჩნევთ?

— მაურო ტასოტის.

— და როდის შეგცვლით?

— 2011 წლისთვის.

— მომავალში რას აპირებთ?

— მინდა, რომ ნაკრების მწვრთნელი გავხდე, როცა რობერტო დონადონის კონტრაქტი დასრულდება.

— სხვა ქვეყნის კლუბში მუშაობა არ გინდათ?

— საქმე ისაა, რომ ძალიან პრაქტიკული ტიპი ვარ. მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვმუშაობ და რატომ უნდა შევცვალო რამე?

— შარშან ხომ „რეალში“ გადასვლამდე ცოტა დაგაკლდათ...

— ჰო, მაგრამ მაშინ „მილანის“ შეფებმა არ ისურვეს ჩემი გაშვება. ჩვენს შორის არა მხოლოდ პროფესიული, არამედ წმინდა ადამიანური ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

— არიგო საკიმ განაცხადა, რომ სატრანსფერო საქმეებში არასაკმარისად ერევით...

— შესაძლოა, მაგრამ მერწმუნეთ, კლუბის შეფები რჩევას მუდამ მეკითხებიან. ადრიანო გალიანი ძალიან ძლიერი ხელმძღვანელია და ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ და რა — არა.

— ხუთწელიწადნახევარი „მილანში“ — ბევრია თუ ცოტა?

— არც ერთი და არც მეორე. შეჩვევის საფრთხე არ მემუქრება, როგორც ასეთ შემთხვევაში თვლიან ხოლმე. ძალიან მომწონს „მილანის“ მწვრთნელობა. ეს შეიძლება, დიდ და მეგობრულ ოჯახში ცხოვრებას შევადარო.

— ყველაზე მეტად წლეულს რა გაგიხარდათ?

— უამრავი პრობლემის მიუხედავად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში რომ გავედით. სეზონის ამ რთულ პერიოდში გუნდმა საუცხოოდ ითამაშა.

— რონალდოს მწვრთნელობა როგორია?

— ძალიან მოწესრიგებული ფეხბურთელია, რომელსაც მოტივაცია საძებნი სულაც არ აქვს.

— რონალდინიო მოირგებს „მილანის“ მაისურას?

— ის დიდებულია და სილვიო ბერლუსკონის „მილანში“ ყოველთვის იყვნენ დიდი ფეხბურთელები. რონალდინიო არა მარტო ქმნის გუნდური თამაშის ესთეტიკას, არამედ თვითონაც ბევრი გოლი გააქვს.

— სილვიო ბერლუსკონიმ კლუბის გასაძლიერებლად 200 მილიონი ევრო რომ გაიღოს, რას ურჩევდით?

— მწვრთნელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას...

— ჩემპიონთა ლიგაში სადამდე მიხვალთ?

— კარგი პერსპექტივა გვაქვს, რადგან ზედიზედ ხუთი წელია, მეოთხედფინალში გავდივართ. 2003-ში თასი მოვიგეთ, 2005-ში ფინალში დავმარცხდით, ახლა კი 2007-ია... აშკარა ფავორიტს ვერ ვხედავ.

— მალე მიუნხენის „ბაიერნთან“ მატჩი გელით...

— „ბაიერნს“ ფიზიკურად ძალიან ძლიერი ბიჭები ჰყავს, მაგრამ ტექნიკურად მოიკოჭლებენ. თუკი ძალაზე გააკეთებენ აქცენტს, ჩვენ ჩვენი თამაში უნდა შევთავაზოთ.

— როგორი ფინალი იქნება ათენში?

— რაკი არ მეშვებით, გეტყვით, რომ ფინალში „მილანი“ და „ჩელსი“ გავლენ და ჩვენ ყოფილ თანაგუნდელ ანდრეი შევჩენკოს შევხვდებით.

# უყიდის სილვა იუვეს სილვას?



ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჟილბერტო სილვამ განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა „იუვენტუსში“. უკვე რა ხანია, ტურინელები ლონდონის „არსენალის“ 30 წლის ფეხბურთელით არიან დაინტერესებულნი. მას „მეთოფეებთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე კი აქვს, მაგრამ ფიფას ახალი წესებით, შეუძლია, თავი ორი წლის ხელფასის, ანუ 17 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გამოისყიდოს.

— „იუვენტუსი“ დიდი გუნდია. სურს, მალე დაუბრუნდეს ელიტას და მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. თუმც მე „არსენალის“ ფეხბურთელი ვარ და კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე მაკავშირებს. ასე რომ, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე ბევრი იქნება დამოკიდებული“ — აღნიშნა ჟილბერტომ.

„მეთოფეების“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, ჟილბერტო არსად წავაო, თუმცა ფეხბურთელის სერია A-ში გადასვლას არც მისი აგენტი პაულო ვილიანა გამორიცხავს.

„მას მოსწონს „არსენალი“, ლონდონშიც თავს კარგად გრძნობს და კლუბთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ცხოვრებაში არასდროს იცი, რა მოხდება, ფეხბურთი კი ცხოვრების ნაწილია“ — თქვა ვილიანამ.

გიორგი ქაქაბაძე

# რომაელთა არდადეგები

იტალიური „რომა“ მომავალ სეზონზე ფიქრობს და სასურველ ფეხბურთელებს არჩევს. ორი მათგანი „სამპდორიას“ ფორვარდი ფაბიო კალიარელა და ნახევარმცველი ანჯელო პალომბო ყოფილან. ეს ინფორმაცია გენუელთა ტრანსფერების გურუმ ჯუზეპე მაროტამაც დაადასტურა...

„გლადიატორთა“ ამოცანას ის ართულებს, რომ ყოფილმა ფიორენტინელმა პალომბომ ახლახან „სამპდორიასთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა, ხოლო კალიარელას სხვა მსურველებიც ჰყავს, თანაც იგი სანახევროდ „უდინეზეს“ ეკუთვნის.

ჯუზეპე მაროტა: „რომას“ სპორტული დირექტორი დანიელე პრადა ამ ორ ფეხბურთელზე მართლაც მესაუბრა. მათი დაინტერესება აშკარაა, თუმცა პალომბოსთან კონტრაქტი ახლახან გავახანგრძლივეთ, კალიარელა კი სანახევროდ „უდინეზეს“ საკუთრებაა და გვინდა, ზაფხულში იგი ბოლომდე გამოვისყიდოთ. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით“.

გიორგი ქაქაბაძე

# გენერალური ტეილორი



შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი დევიდ ტეილორი უეფას გენერალური მდივანი გახდება 1 ივნისიდან — ამის შესახებ უეფამ ოფიციალურად გუშინ განაცხადა.

ტეილორი ლარს-კრისტერ ოლსონს შეცვლის, რომელიც ლენარტ იუჰანსონის პრეზიდენტობისას მუშაობდა, მაგრამ მიშელ პლატინის მისვლის შემდეგ გაათავისუფლეს.

გარდა ამისა, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრების რაოდენობა 13-დან 15-მდე გაიზრდება.

ვაჟა ხუციშვილი

## ბიჭებზე მონადირე დესაი

„მილანის“ ყოფილი მცველი, ფრანგი მარსელ დესაი ამავე კლუბის სკაუტად იმუშავებს. იგი „შავ-წითლებისთვის“ აფრიკაში ნიჭიერ ბიჭებს მოძებნის.

„მაგალითად, მიკაელ ესიენი, დიდიე დროგბა და სამუელ ეტოო თავიდან, სანამ გაიბრწყინებდნენ, პატარა, უცნობ კლუბებში მოხვდნენ, მე კი ვეცდები, რომ ისეთი ფეხბურთელები ვიპოვო, რომლებიც უმალ გამოიჩენენ თავს „მილანში“ — განაცხადა დესაიმ.

## კრუზი მილანიდან მილანში

იტალიური „კონტროკამპო“ ამტკიცებს, რომ „ინტერის“ არგენტინელი ფორვარდი ხულიო რიკარდო კრუზი „მილანში“ გადასვლაზე თანახმაა. „შავ-ლურჯები“ არგენტინელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებენ და კრუზმაც მომავალზე უნდა იზრუნოს, თუმც „ინტერის“ მეგოლე იმ შემთხვევაში გადაბარგდება „მილანში“, თუ იქ მწვრთნელად კარლო ანჩელოტის დატოვებენ.

ვაჟა ხუციშვილი




# დიდი სკანდალი სკანდალური გაგრძელებით

## მართლა გაძარცვა თუ არა მიუნხენის პოლიციამ კრისტიან ლელი?




**გერმანული** პრესის ცნობით, მიუნხენის „ბაიერნის" ახალგაზრდა მცველი კრისტიან ლელი პოლიციას ქურდობაში ადანაშაულებს.

ეს უცნაური და გერმანიისთვის ძალიან უჩვეულო ამბავი პროკურორმა კრისტიან შმიდტ-ცომერფელდმაც დაადასტურა: „პოლიციელთა ქმედებაზე გამოძიება მიმდინარეობს".

თუ კრისტიან ლელის სიმართლე არ დაუმტკიცდება, მას კიდევ ერთი დანაშაულისთვის — ცილისწამებისთვის მოუწევს პასუხისგება.

შეგახსენებთ, რომ ბაიერნელი 25 თებერვალს დილის ხუთ საათზე დააკავა პოლიციამ, რომელსაც თვითმხილველებმა შეატყობინეს, რომ დისკო-კლუბიდან გამოსულმა მთვრალმა ლელმა მანქანასთან თავის მეგობარ გოგონა სარას მუცელში წიხლი ჩაარტყა.

ამის შემდეგ მიუნხენის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, თუმცა ახლა ლელი ამბობს, რომ დაკავებისას პოლიციელებმა საფულედან გარკვეული რაოდენობის თანხა მოჰპარეს...

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**ნინო სილაგაძე**

# ალემანია ალკოჰოლის სუნში


მოსეს სიკონე

**2007 წლის** 17 იანვარს აახენის „ალემანიას" 29 წლის ფეხბურთელი მოსეს სიკონე კლინიკის ღობეს შეეჯახა.

და აი, განაჩენი ორი თვის შემდეგ: კლუბმა ფეხბურთელი საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში ჯდომისთვის 30 000 ევროთი დააჯარიმა.

ამავე დროს, სიკონეს მართვის მოწმობა 10 თვით ჩამოერთვა, რადგან პოლიციასთან დანაშაული არაფრის დიდებით არ აღიარა.

თუმცა „ალემანიასთვის" ეს პირველი თავსატეხი სულაც არაა: აახენის პროკურატურა მარიუს ებერსის საქმეს იძიებს. ეს თავდამსხმელი 11 თებერვალს თანაგუნდელ იან შლაუდრაფის „პორშეს" მოაჯდა და რამდენიმე სალტოც გააკეთა.

რა თქმა უნდა, ისიც ნასვამი იყო...

**ნინო სილაგაძე**

# ვალერი ხავიერი გახდება?

**ხავიერ სავიოლას** „ბარსელონასთან" მოქმედ კონტრაქტს ვადა სამ თვეში გასდის, მის გახანგრძლივებაზე კი ჯერ არაფერი ისმის. „ბაჭიას" „ნოუ კამპზე" დარჩენა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იშვიათად ათამაშებენ.

მისი მსურველი კი ბევრია — „იუვენტუსი", „სარაგოსა", „ვილიარეალი"...

„ჯერ კიდევ „ბარსელონას" ვეკუთვნი, კლუბს პატივს ვცემ და ახლა სხვა გუნდებზე საუბარი არ მინდა. არ ვიცი, დავრჩები თუ წავალ, მაგრამ ყველა წინადადებას განვიხილავ. დარჩენა მინდა, მაგრამ ხელმძღვანელობისგან სიგნალი ჯერ არ არის. ეს მათი პრობლემაა და არა ჩემი. უბრალოდ, მინდა, გადაწყვეტილება მიიღონ და მითხრან, თორემ ვინმესთვის იარაღის მიშვერას და კონტრაქტის იძულებით გახანგრძლივებას არ ვაპირებ. არ ვნანობ, რომ „ბარსელონაში" დავრჩი და, თუ წასვლა მომიწევს, ამას თავაწეული გავაკეთებ" — თქვა „ბაჭიამ".

ამასობაში „ბარსელონამ" „ფიორენტინასთან" ვალერი ბოჟინოვის ტრანსფერზე მოლაპარაკება დაიწყო. LA NAZIONE-ის ცნობით, კატალონიელებს ბულგარელი ფორვარდი სწორედ სავიოლას შემცვლელად უნდათ.



ვალერი ბოჟინოვი

ბოჟინოვი „იუვენტუსშია" განათხოვრებული და „ფიორენტინა" მის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს ითხოვს, „ბარსელონა" კი ფულს და ტიაგო მოტას სთავაზობს.

**ქოქი ქანდელაკი**

# კაჭკაჭის დიდი მადა

**ბრიტანული** „სანდი მირორის" ინფორმაციით, „ნიუკასლს" „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ორი მცველის, უესლი ბრაუნის და მიკაელ სილვესტრის ყიდვა უნდა.

საეჭვოა, სერ ალექს ფერგიუსონმა ერთბაშად ორი, თუნდაც სათადარიგო მცველი გუნდიდან გაუშვას, მით უმეტეს, რომ ამ ზაფხულს გაბრიელ ჰაინცეც აპირებს წასვლას.

„კაჭკაჭები" ხსენებული ფეხბურთელების გარდა ბენფიკელ ნელსონს და შახტარელ რაზვან რაცსაც უტრიალებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მაგათი აცდუნეს

**„ბაიერნის"** ყოფილმა მწვრთნელმა [illegible] მომავალში, შესაძლოა, რომელიმე არაგერმანული კლუბი ჩაიბაროს.

„მთელი კარიერა გერმანიაში გავატარე [illegible] ლი. ესპანეთის გარდა ინგლისური ფეხბურთი მომწონს, მეტიც: ყველას მირჩევნია. პრემიერლიგაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ და ბევრი ძლიერი გუნდია. არაერთმა ცნობილმა კლუბმა შემომთავაზა სამუშაო, თუმც არც ერთმა არ დამაინტერესა. ახლა კი მოვიდა შვებულების შეწყვეტის დრო, რადგან ძალიან მაცდური წინადადება მივიღე არგენტინული სუპერკლუბისგან... „რეალი"? რატომაც არა, სიამოვნებით ვიმუშავებდი ამ გუნდშიც" — თქვა მაგათმა.

## ოჯახი, უპირველეს ყოვლისა!

**„ჰამბურგის"** შეფებმა გუნდის მწვრთნელ ჰუუბ სტევენსს ჰოლანდიაში დარჩენის ნება მისცეს, რადგან ცოლი ჰყოლია ავად. სტევენსმა „ჰამბურგში" თომას დოლი შეცვალა და ცხრილის ფსკერიდან მე-14 ადგილზე აიყვანა. მომავალ უქმეებზე „ვოლფსბურგთან" მატჩში მასპინძლებს სტევენსის თანაშემწე მარკუს შუპი უთავკაცებს.

„სტევენსს შეუძლია, იყოს ჰოლანდიაში, რამდენ ხანსაც მოისურვებს. ოჯახი, უპირველეს ყოვლისა!" — თქვა კლუბის სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბაიერსდორფერმა.

## კოპელი გრძელდება

**ინგლისური** „რედინგის" მწვრთნელმა სტივ კოპელმა კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. მისი გუნდი პრემიერლიგის დებიუტანტია და უკვე უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის იბრძვის. კოპელს სტივ მაკლარენის შემცვლელადაც კი ასახელებენ.

## ჩელსიმ ბრუმა გააბრუა

**ჰოლანდიური** „ალგემეენ დაგბლადის" ცნობით, „ჩელსიმ" „ფეიენოორდიდან" 15 წლის ნახევარმცველი ჯეფრი ბრუმა იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მას კლუბთან არ ჰქონდა პროფესიული ხელშეკრულება, რადგან 16-ისა არ შესრულებულა და ჩელსელებს ბიჭი იაფად ჩაუვარდათ ხელში.

## გაგონილა?!

**მიუნხენის** „ბაიერნი" ოლივერ კანის ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას გაასაჩივრებს. შეგახსენებთ, რომ მეკარე „რეალთან" მატჩის შემდეგ ექიმს შეეკამათა, რომელიც კანს და ლუსიოს გაუწყრა, უჩემოდ რატომ მოშარდეთო. კანს ერთმატჩიანი სასჯელი გამოუწერეს და 12 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს.

„არასდროს მსმენია, ასეთი დანაშაულისთვის ფეხბურთელი დისკვალიფიკაციით დაესაჯოთ" — თქვა გაოგნებულმა ოტმარ ჰიცფელდმა.

## გუსევი სატურნზე მიფრინავს

**მოსკოვის** ცსკა-ს ნახევარმცველი როლან გუსევი გუნდიდან წასვლას აპირებს, რადგან ვალერი გაზაევი ძირითადში აღარ ათამაშებს. გუსევის გადაბირებით, რომელსაც ცსკა-სთან კონტრაქტი ამ ზაფხულს ეწურება, ყველაზე მეტად „სატურნია" დაინტერესებული და კლუბი ფეხბურთელს ტრანსფერის თაობაზე უკვე ელაპარაკა.

## 120 ათასი დერლეისთვის

**„ბენფიკას"** ფორვარდი დერლეი სილვა ზაფხულში, შესაძლოა, მოსკოვის „დინამოში" დაბრუნდეს, საიდანაც განათხოვრებულია ლისაბონურ კლუბში. მოსკოველები მას თვეში 120 ათას დოლარს ჰპირდებიან.

დერლეი შარშან „ბენფიკაში" იმიტომ გაუშვეს, რომ „დინამოს" ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ფეხბურთელს ჯამაგირს ვერ უხდიდა. თვითონ პორტუგალიელიც არაა უარზე და ჩემპიონატის მეორე წრეში ალბათ „დინამოში" ითამაშებს.

## მალელი: მომეცით მალე!

**„სევილიას"** მალელი ფორვარდი ფრედერიკ კანუტი კლუბისგან ჯამაგირის მომატებას ითხოვს, თანაც, რაც შეიძლება, მალე. ამჟამად მისი ხელფასი კვირაში 18 ათასი ევროა, მაგრამ ჩემპიონატის მთავარმეგოლეს მიაჩნია, რომ ორჯერ მეტს იმსახურებს. „სევილიას" უნდა მისი შენარჩუნება და ალბათ მოთხოვნას დაუკმაყოფილებს. თუ ეს მოხდება, კანუტი დანი ალვესთან და კრისტიან პოულსენთან ერთად კლუბში ყველაზე მსუყეჯამაგირიანი ფეხბურთელი გახდება.

## კაპაროსი ბარგს ჩაალაგებს

**„დეპორტივოს"** მწვრთნელი ხოაკინ კაპაროსი სეზონის ბოლოს წავა, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 2008 წლის ივნისამდე აქვს. კაპაროსს არ მოსწონს კლუბის შეფების საქციელი. გარდა იმისა, რომ ფეხბურთელებს შორის დაძაბული ურთიერთობაა, სამწვრთნელო შტაბში შეფებმა კაპაროსის დაუკითხავად ახალი ხალხი მიიყვანეს.

## ბეტისის ლა კარტუხა

**სევილიის** „ბეტისი" შაბათს „ვილიარეალს" „ლა კარტუხას" სტადიონზე უმასპინძლებს. ბეტისელები საკუთარ „რუის დე ლოპერაზე" იმიტომ ვერ ითამაშებენ, რომ „სევილიასთან" სათასო მატჩისას სტუმართა მწვრთნელ ხუანდე რამოსს მაყურებელმა ქომაგმა თავში ბოთლი გაარტყა. „ლა კარტუხაც" სევილიაშია და იგი 1999 წელსაა აშენებული.

**ვაჟა ხუციშვილი**

# წარმოგიდგენთ

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:45 | 1 | ლივერპული-არსენალი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 2 | ბოლტონი-შეფილდი | 1.60 | 3.40 | 6.20 | 1.08 | 1.27 | 2.19 |
| 18:00 | 3 | ჩარლტონი-უიგანი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 4 | ფულემი-პორტსმუთი | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 18:00 | 5 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 18:00 | 7 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 8 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 20:15 | 9 | უოტფორდი-ჩელსი | 9.00 | 4.50 | 1.32 | 3.00 | 1.15 | 1.02 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 11 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.70 | 3.30 | 5.20 | 1.12 | 1.28 | 2.01 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 13 | ბარნსლი-დერბი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 14 | ბარნლი-ლუტონი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 15 | კარდიფი-სანდერლენდი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 16 | კოლჩესტერი-ნორვიჩი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 17 | კრისტალ პალასი-უენსდი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 18 | ჰალი-საუთენდი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-პლიმუთი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 20 | ლიდსი-პრესტონი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 21 | ქპრ-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 22 | სტოკი-ლესტერი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 23 | ვულვზი-საუთჰემპტონი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 24 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |

**ინგლისი. I ლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 26 | ტრანმერი-კარლაილი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 27 | ბლეკპული-ქრიუ | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 18:00 | 28 | ბრისტოლი-ნოტინგემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 29 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 30 | ჯილინგემი-ბრენტფორდი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 31 | ჰადერსფილდი-პორტ ვეილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 32 | მილუოლი-სუონსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 33 | ნორთჰემპტონი-ბრაიტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 34 | ოლდემი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 35 | როტერჰემი-ბორნმუთი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 36 | სკანთორპი-ბრედფორდი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |

**ინგლისი. II ლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 39 | ჰარტლპული-ჩესტერი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 40 | ბარნეტი-დარლინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 41 | ბოსტონი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 42 | ჰერეფორდი-დონსი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 18:00 | 43 | ნოტსი-გრიმსბი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 44 | პიტერბრო-უიკომბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 45 | როჩდეილი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 46 | სუინდონი-შრიუსბერი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 47 | ტორკი-სტოკპორტი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 48 | უოლსოლი-აკრინგტონი | 1.50 | 3.50 | 6.70 | 1.04 | 1.22 | 2.29 |
| 18:00 | 49 | რექსემი-მენსფილდი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 73 | დანდი იუნ.-სელტიკი | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 18:00 | 75 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 18:00 | 76 | კილმარნოკი-აბერდინი | 2.60 | 3.40 | 2.30 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 77 | მაზერუელი-დანფერმლაინი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 78 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 80 | ჰიბერნიანი-ჰარტსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 81 | კლაიდი-ქუინი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 82 | დანდი-ერდრი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 18:00 | 83 | გრეტნა-პარტიკი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 18:00 | 84 | ჰამილტონი-როსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 85 | სტვკოსტონი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 86 | ალოა-ბრეჩინი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 87 | ფორფარი-სტირლინგი | 7.50 | 4.10 | 1.35 | 2.65 | 1.14 | 1.01 |
| 18:00 | 88 | მორტონი-კოუდენბითი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 18:00 | 89 | პიტერჰედი-ეარი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 90 | რეითი-სტრანრარი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 91 | ალბიონი-არბროთი | 3.90 | 3.50 | 1.75 | 1.84 | 1.20 | 1.16 |
| 18:00 | 92 | დამბარტონი-ელგინი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 18:00 | 93 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 18:00 | 94 | ისტ სტირლინგი-ბერიკი | 9.00 | 4.80 | 1.25 | 3.13 | 1.09 | 1.00 |
| 18:00 | 95 | ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 97 | არმინია-დორტმუნდი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-შალკე | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 17:30 | 99 | კოტბუსი -ვერდერი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| 17:30 | 102 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:30 | 103 | გლადბახი-აინტრახტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:30 | 104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 17:30 | 105 | შტუტგარტი-ალემანია | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 98 | ბოხუმი-ჰანოვერი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 109 | ბურგჰაუზენი-უნტერჰახინგი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 110 | კარლ ცაისი-ჰანზა | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 20:00 | 114 | პადერბორნი-კარლსრუე | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 107 | აუგსბურგი-აუე | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:00 | 108 | ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი | 4.30 | 3.30 | 1.70 | 1.86 | 1.21 | 1.12 |
| 16:00 | 112 | კიოლნი-კობლენცი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 16:00 | 113 | ოფენბახი-ფიურტი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 16:00 | 115 | ესენი-მიუნხენი 1860 | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 111 | ლაუტერნი-დუისბურგი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 117 | ალენი-ჰერტა(მ) | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| 20:15 | 119 | დიუსელდორფი-ლიუბეკი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 20:00 | 121 | გლადბახი(მ)-უნ ბერლინი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 19:30 | 562 | კარლსრუე(მ)-აალენი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 19:45 | 145 | ლუცერნი-შაფჰაუზენი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 19:45 | 146 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 147 | ბაზელი-თუნი | 1.30 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.89 |
| 18:00 | 148 | სიონი-აარაუ | 1.65 | 3.40 | 4.65 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| 18:00 | 149 | ციურიხი-სტ.გალენი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |

**იტალია. სერია A**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 166 | რეჯინა-სიენა | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 22:30 | 167 | რომა-მილანი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 159 | ატალანტა-ფიორენტინა | 3.10 | 2.80 | 2.40 | 1.47 | 1.35 | 1.29 |
| 17:00 | 160 | კალიარი-მესინა | 1.90 | 2.90 | 4.40 | 1.14 | 1.32 | 1.74 |
| 17:00 | 161 | კიევო-სამპდორია | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 17:00 | 162 | ემპოლი-ასკოლი | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| 17:00 | 163 | ინტერი-პარმა | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 17:00 | 165 | ლივორნო-კატანია | 2.00 | 2.90 | 4.00 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 17:00 | 168 | ტორინო-პალერმო | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| 22:30 | 170 | უდინეზე-ლაციო | 2.75 | 2.80 | 2.65 | 1.38 | 1.34 | 1.36 |

**იტალია. სერია C1/B**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 192 | ტერნანა-სალერნიტანა | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 202 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.35 | 4.10 | 9.00 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| 20:00 | 204 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 22:00 | 212 | ხოსიედადი-ლევანტე | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 213 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 201 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 21:00 | 205 | სელტა-რეალი | 4.40 | 3.20 | 1.80 | 1.85 | 1.27 | 1.15 |
| 19:00 | 207 | ხეტაფე-სარაგოსა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 208 | ტარაგონა-უელვა | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 23:00 | 209 | ოსასუნა-სევილია | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| 19:00 | 211 | რასინგი-ბილბაო | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 19:10 | 231 | ლორიანი-მარსელი | 2.85 | 2.80 | 2.55 | 1.41 | 1.34 | 1.33 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 227 | ლე მანი-ოსერი | 2.30 | 2.80 | 3.30 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 23:00 | 228 | ლანსი-პსჟ | 2.00 | 2.90 | 4.00 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 18:00 | 229 | ლილი-ვალენსიენი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 16:00 | 234 | ნანტი-სედანი | 1.90 | 2.90 | 4.55 | 1.14 | 1.34 | 1.77 |
| 18:00 | 235 | ნიცა-მონაკო | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 18:00 | 236 | ტულუზი-სტ.ეტიენი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 237 | ტრუა-სოშო | 2.45 | 2.80 | 3.10 | 1.30 | 1.36 | 1.47 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 287 | აკადემიკა-ლეირია | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 19:00 | 288 | ბელენენსეში-ავეში | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 289 | ბენფიკა-პორტუ | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 290 | ბოავიშტა-ფერეირა | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 291 | მარიტიმუ-ბრაგა | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 292 | ნავალი-ნასიონალი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 293 | სეტუბალი-ამადორა | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 294 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |

**საბერძნეთი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 303 | აეკ-ეგალეო | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 19:00 | 304 | არისი-ერგოტელისი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.04 |
| 19:00 | 305 | ატრომიტოსი-პანიონიოსი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 19:00 | 306 | კალამარია-პანათინაიკოსი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 19:00 | 307 | კერკირა-ირაკლისი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 308 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 3.70 | 3.00 | 2.00 | 1.65 | 1.29 | 1.20 |
| 19:00 | 309 | ოფი-იონიკოსი | 1.12 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.42 |
| 19:00 | 310 | პაოკ-ქსანთი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |

**დანია. სუპერლიგა**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 356 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 357 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 17:00 | 358 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 17:00 | 359 | სილკებორგი-რანდერსი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 360 | ოდენსე-ოლბორგი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:00 | 361 | ბრიონდბიუ-ვეილე | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |

**ევრო 2008. შესარჩევი მატჩები**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 19:25 | 415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 1.10 | 7.00 | 20.00 | 1.00 | 1.04 | 5.18 |
| 20:00 | 416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.47 | 3.70 | 7.00 | 1.05 | 1.21 | 2.42 |
| 21:30 | 417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 9.00 | 3.80 | 1.40 | 2.67 | 1.21 | 1.02 |
| 21:30 | 418 | ლიხტენშტაინი-ლატვია 1:0 | 2.45 | 3.60 | 2.10 | | | |
| 22:45 | 419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 5.40 | 3.40 | 1.65 | 2.08 | 1.26 | 1.11 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 420 | პოლონეთი-სომხეთი | 1.11 | 7.00 | 22.00 | 1.00 | 1.05 | 5.31 |
| 22:30 | 421 | პოლონეთი-სომხეთი 0:2 | 1.80 | 4.20 | 2.85 | | | |
| 22:45 | 422 | სლოვენია-ჰოლანდია | 5.50 | 3.40 | 1.60 | 2.10 | 1.23 | 1.08 |
| 23:45 | 423 | ესპანეთი-ისლანდია | 1.11 | 7.00 | 22.00 | 1.00 | 1.05 | 5.31 |
| 23:45 | 424 | ესპანეთი-ისლანდია0:2 | 1.80 | 3.80 | 2.60 | | | |
| 19:00 | 425 | უკრაინა-ლიტვა | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| 19:00 | 426 | უკრაინა-ლიტვა 0:1 | 1.90 | 3.40 | 3.10 | | | |
| 23:00 | 427 | უელსი-სან მარინო | 1.05 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 19:00 | 428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 9.00 | 3.70 | 1.40 | 2.62 | 1.21 | 1.01 |
| 19:00 | 429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.26 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 19:30 | 430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1.04 | 10.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 7.77 |
| 19:30 | 431 | რუმინეთი-ლუქსემბურგი 0:3 | 1.70 | 4.50 | 3.10 | | | |
| 21:00 | 432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 21:00 | 433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 21:30 | 434 | მალტა-საბერძნეთი | 8.70 | 4.30 | 1.35 | 2.87 | 1.16 | 1.02 |
| 21:30 | 435 | მალტა-საბერძნეთი 1:0 | 3.00 | 3.80 | 1.80 | | | |
| 22:30 | 436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:30 | 437 | სერბეთი-პორტუგალია | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:50 | 438 | იტალია-შოტლანდია | 1.33 | 4.40 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 2.95 |
| 23:00 | 439 | ანდორა-ინგლისი | 65.00 | 11.00 | 1.01 | 9.40 | 1.00 | 1.00 |
| 23:00 | 440 | ანდორა-ინგლისი 4:0 | 2.10 | 4.30 | 2.10 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 444 | საფრანგეთი-ავსტრია | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |
| 22:00 | 445 | გერმანია-დანია | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 23:45 | 446 | აშშ-გვატემალა | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 23:45 | 564 | ეკვადორი-მექსიკა(ნ) | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 448 | ლიონი-ბორდო | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 571 | ბოლივარი-სიენსიანო | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 573 | დეფენსორი-პასტო | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 574 | კოლო კოლო-კარაკასი | 1.20 | 5.20 | 9.20 | 1.00 | 1.06 | 3.32 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 19:30 | 576 | კერპეტი-ესპოო | 1.70 | 4.10 | 3.30 | 1.20 | 1.12 | 1.82 |
| 19:30 | 577 | ილვესი-ჰამეენლინა | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 655 | უდინე-ბენეტონი | 1.90 | 12.00 | 4.70 | 1.64 | 1.09 | 1.48 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 656 | სიენა-კანტუ | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 657 | ვ.ბოლონია-ბიპოპი | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 658 | ნაპოლი-ლივორნო | 1.10 | 12.00 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 3.52 |
| 22:30 | 659 | ვარეზე-ბიელა | 1.30 | 12.00 | 2.90 | 1.17 | 1.00 | 2.33 |
| 22:30 | 660 | აველინო-ცაფატი | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 22:30 | 661 | ორლანდო-რომა | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 22:30 | 662 | მილანი-ტერამო | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 663 | მონტეგრანარო-ბოლონია | 1.55 | 12.00 | 2.10 | 1.37 | 1.00 | 1.78 |
| | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 682 | ეგალეო-არისი | 2.50 | 12.00 | 1.35 | 2.06 | 1.00 | 1.21 |
| 18:00 | 683 | აპოლონი-პანათინაიკოსი | 6.00 | 12.00 | 1.05 | 4.00 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 684 | აეკ-პანიონიოსი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 18:00 | 685 | აელ-მაკედონიკოსი | 1.10 | 12.00 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 3.52 |
| 18:00 | 686 | ოლიმპიაკოსი-აეპ | 1.01 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 20:00 | 687 | პანელონიოსი-მარუსი | 1.35 | 12.00 | 2.60 | 1.21 | 1.00 | 2.13 |
| 22:00 | 688 | პაოკ-ოლიმპია | 1.20 | 12.00 | 3.60 | 1.09 | 1.00 | 2.76 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 1.30 | 3.40 | 15.00 | 1.00 | 1.19 | 2.77 |
| 10416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.90 | 2.30 | 6.00 | 1.04 | 1.44 | 1.66 |
| 10417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 6.50 | 2.40 | 1.80 | 1.75 | 1.40 | 1.02 |
| 10419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 5.50 | 2.10 | 2.10 | 1.51 | 1.51 | 1.04 |
| 10420 | პოლონეთი-სომხეთი | 1.28 | 3.50 | 15.00 | 1.00 | 1.17 | 2.83 |
| 10422 | სლოვენია-ჰოლანდია | 5.80 | 2.20 | 2.00 | 1.59 | 1.48 | 1.04 |
| 10423 | ესპანეთი-ისლანდია | 1.30 | 3.40 | 15.00 | 1.00 | 1.19 | 2.77 |
| 10425 | უკრაინა-ლიტვა | 1.65 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.33 | 1.84 |
| 10427 | უელსი-სან მარინო | 1.20 | 3.90 | 20.00 | 1.00 | 1.13 | 3.26 |
| 10428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 7.00 | 2.30 | 1.80 | 1.73 | 1.43 | 1.00 |
| 10429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.50 | 2.70 | 9.00 | 1.00 | 1.28 | 2.07 |
| 10430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1.18 | 3.80 | 22.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 10432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.75 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.41 | 1.76 |
| 10433 | თურქეთი-ნორვეგია | 2.40 | 2.10 | 4.20 | 1.12 | 1.52 | 1.39 |
| 10434 | მალტა-საბერძნეთი | 8.00 | 2.50 | 1.65 | 1.90 | 1.36 | 1.00 |
| 10436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 2.40 | 2.10 | 4.20 | 1.12 | 1.52 | 1.39 |
| 10437 | სერბეთი-პორტუგალია | 3.50 | 2.00 | 2.70 | 1.27 | 1.52 | 1.14 |
| 10438 | იტალია-შოტლანდია | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10439 | ანდორა-ინგლისი | 34.00 | 5.00 | 1.10 | 4.35 | 1.06 | 1.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11416 | უნგრეთი-მოლდოვა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 12.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.95 |
| 11419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11422 | სლოვენია-ჰოლანდია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11425 | უკრაინა-ლიტვა | 1.65 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 15.00 | 15.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.60 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11433 | თურქეთი-ნორვეგია | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11434 | მალტა-საბერძნეთი | 12.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.60 |
| 11436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11437 | სერბეთი-პორტუგალია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11438 | იტალია-შოტლანდია | 1.65 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 2.40 | 1.40 |
| 12416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.70 | 1.90 |
| 12417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 1.80 | 1.80 |
| 12419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 1.60 | 2.00 |
| 12420 | პოლონეთი-სომხეთი | 2.40 | 1.40 |
| 12422 | სლოვენია-ჰოლანდია | 1.60 | 2.00 |
| 12423 | ესპანეთი-ისლანდია | 2.30 | 1.45 |
| 12425 | უკრაინა-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 12427 | უელსი-სან მარინო | 3.70 | 1.20 |
| 12428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 1.70 | 1.90 |
| 12429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.90 | 1.70 |
| 12430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 3.30 | 1.20 |
| 12432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.60 | 2.00 |
| 12433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12434 | მალტა-საბერძნეთი | 1.90 | 1.70 |
| 12436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.60 | 2.00 |
| 12437 | სერბეთი-პორტუგალია | 1.60 | 2.00 |
| 12438 | იტალია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12439 | ანდორა-ინგლისი | 4.00 | 1.12 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15416 | უნგრეთი-მოლდოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15422 | სლოვენია-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15425 | უკრაინა-ლიტვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15432 | ისრაელი-ესტონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15433 | თურქეთი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15434 | მალტა-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15437 | სერბეთი-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15438 | იტალია-შოტლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.70 | 1.90 |
| 13417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 1.90 | 1.60 |
| 13419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 1.90 | 1.70 |
| 13422 | სლოვენია-ჰოლანდია | 1.90 | 1.70 |
| 13425 | უკრაინა-ლიტვა | 2.10 | 1.60 |
| 13428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 2.00 | 1.60 |
| 13429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 2.20 | 1.50 |
| 13432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13434 | მალტა-საბერძნეთი | 2.10 | 1.60 |
| 13436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13437 | სერბეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 13438 | იტალია-შოტლანდია | 2.00 | 1.60 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.12 | 4.80 |
| 16417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 5.00 | 1.10 |
| 16419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 3.70 | 1.20 |
| 16422 | სლოვენია-ჰოლანდია | 4.00 | 1.15 |
| 16425 | უკრაინა-ლიტვა | 1.05 | 7.00 |
| 16428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 6.00 | 1.06 |
| 16429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.03 | 7.50 |
| 16432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.06 | 7.00 |
| 16433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.35 | 2.70 |
| 16434 | მალტა-საბერძნეთი | 7.00 | 1.05 |
| 16436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.35 | 2.75 |
| 16437 | სერბეთი-პორტუგალია | 2.10 | 1.60 |
| 16438 | იტალია-შოტლანდია | 1.06 | 7.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.18 | 2.60 |
| 14417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 2.60 | 1.18 |
| 14419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 2.50 | 1.32 |
| 14422 | სლოვენია-ჰოლანდია | 2.50 | 1.30 |
| 14425 | უკრაინა-ლიტვა | 1.03 | 2.90 |
| 14428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 2.60 | 1.18 |
| 14429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.05 | 2.80 |
| 14432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.08 | 2.90 |
| 14433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.65 | 2.20 |
| 14434 | მალტა-საბერძნეთი | 2.80 | 1.07 |
| 14436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.65 | 2.20 |
| 14437 | სერბეთი-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14438 | იტალია-შოტლანდია | 1.07 | 2.90 |

### გოლი:წყვილი-კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 1.85 | 1.95 |
| 17416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 17417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 17419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | პოლონეთი-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17422 | სლოვენია-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17423 | ესპანეთი-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17425 | უკრაინა-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17427 | უელსი-სან მარინო | 1.85 | 1.95 |
| 17428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17434 | მალტა-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17437 | სერბეთი-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17438 | იტალია-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17439 | ანდორა-ინგლისი | 1.85 | 1.95 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



AFP

# დევის აღარ ეშინიათ

## ატლანტელებმა შაქილ ონილი დაალურჯეს

26 მარტი

**მაიამი 106:89 ატლანტა**
მაიამი: უილიამსი (14), ჯონსი (13), პოუზი (19), ჰასლემი (9), ონილი (22 ქულა, 11 მოხსნა); უოლკერი (9), რაიტი (7), პეიტონი (6), მურნინგი (5), ქუინი (2), დოლიკი, ბარონი
ატლანტა: ჯონსონი (7), ჩილდრესი (9), მ. უილიამსი (14), სმიტი (20), რაიტი (2); სტუდემაიერი (22), ბატისტა (8), ლუ (4), ჯონსი (3), შ. უილიამსი, აივი

**გ. სტეიტი 89:126 სან ანტონიო**
გოლდენ სტეიტი: დევისი (17), ელისი (17)
სან ანტონიო: დანკანი (20), პარკერი (20), ფინალი (20), ჯინობილი (17)

**იუტა 103:97 ვაშინგტონი**
იუტა: ბუზები (41 ქულა, 16 მოხსნა), უილიამსი (16 ქულა, 13 პასი), ოქური (16)
ვაშინგტონი: არენასი (32), სტივენსონი (21), ჯემისონი (20)

**დეტროიტი 113:109 დენვერი**
*ძირითადი დრო 98:98*
დეტროიტი: ბილაფსი (34 ქულა, 10 პასი), ვოლესი (22), მაკდაიესი (20 ქულა, 11 მოხსნა), პრინსი (19)
დენვერი: კემბი (24 ქულა, 13 მოხსნა), ილარიო (21 ქულა, 17 მოხსნა), სმიტი (21), აივერსონი (16)

**ბოსტონი 95:87 ტორონტო**
ბოსტონი: პირსი (23), ჯეფერსონი (22), ვესტი (18)
ტორონტო: ფორდი (28), პარკერი (16), ბოში (15)

**ნიუ იორკი 89:94 ორლანდო**
ნიუ იორკი: მარბერი (32), კარი (17)
ორლანდო: თურქოღლუ (18), ნელსონი (18)

**ჰიუსტონი 106:87 მილუოკი**
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (22 ქულა, 10 პასი), მინი (22)
მილუოკი: რედი (26), ბელი (20), პატერსონი (16)

**ჩიკაგო 100:89 პორტლენდი**
ჩიკაგო: დენგი (38), ჰაინრიხი (21 ქულა, 21 პასი), გორდონი (17)
პორტლენდი: ოლდრიჯი (20), რენდოლფი (17)

**ფინიქსი 105:87 მემფისი**
ფინიქსი: ბელი (29), სტუდემაიერი (27 ქულა, 12 მოხსნა, 12 პასი)
მემფისი: გასოლი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**ზედიზედ** მეხუთე თამაში წააგო ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ". თავად ზაზამ გრიპის გამო „მაიამისთან" შეხვედრა გამოტოვა და ეს დიდად დაეტყო მის გუნდს. ძირითად ცენტრად დაყენებულმა ბეხრეკმა ლორენცენ რაიტმა მაიამელი დევის, 145-კილოგრამიანი და 216-სანტიმეტრიანი შაკილ ონილის წინააღმდეგ თამაშში შეიდ წუთში ოთხი პერსონალურის მიღება მოასწრო. „ატლანტას" სხვა მეფარეებსაც არ ულხინდათ. დევშაკის ტორი ყველას „მოხვდა", უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, თავად შაკს ხვდებოდა ყველასგან — ახალბედა შელდენ უილიამსმა 15 წუთში 4-ჯერ „ჩასცხო", ღრმა სათადარიგომ, 12-კაციან განაცხადში ფაჩულიას ტრავმის გამო მოხვედრილმა ურუგვაელმა ესტებან ბატისტამ კი 13 წუთში 5 ჯარიმა აიკიდა.

ბებერ შაკს ბევრი ხვდებოდა, მაგრამ ეს მისი გუნდის წისქვილზე ასხამდა წყალს. მან 20 საჯარიმო ტყორცნიდან 12 გამოიყენა, რაც ასეთი უხეირო მსროლელისთვის რიგიანი შედეგია. ატლანტელები განა მხოლოდ ონილს ერჩოდნენ, ისინი ზოგადად ჯარიმდებოდნენ ძალიან ხშირად და 45 ჯერ დაჯარიმებით სეზონის საყოველთაო რეკორდიც გაიმეორეს.

მაგრამ გამარჯვებულებმა დალურჯებული ხელების საფასურად კმაყოფილების გვარიანი ულუფა მიიღეს. ამ გამარჯვებით ჩემპიონებმა სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში „ვაშინგტონს" გადაასწრეს. თუ ამ ლიდერობას შეინარჩუნებენ, სავარაუდოდ მესამე ნომრად განითესებიან პლეი ოფში და შედარებით იოლი მეტოქე შეხვდებათ. შაკილ ონილმა კი კმაყოფილების ბონუსიც მიიღო — 22 ქულის მოპოვების შემდეგ მას კარიერაში 25 289 მოუგროვდა და ათით გადაასწრო ნბა-ს ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მე-12 ადგილზე მყოფ რეჯი მილერს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის აწ უკვე ყოფილ ლიდერ „ვაშინგტონს" კი აშკარად ეტყობა ერთ-ერთ ლიდერ კერონ ბატლერის არყოფნა. ჯილბერტ არენასი ბლომად ქულებს კი იხვეჭს, აგერ სოლტ ლეიკ სიტიში იქაურ „იუტა ჯაზს" 32 ქულაც ჩაუგდო, მაგრამ თამაში ვერ გადაარჩინა და „ვაშინგტონმა" ზედიზედ მესამედ და ბოლო 10 თამაშში მეშვიდედ წააგო.

გამარჯვებულთა მხრიდან კი გამოირჩა 41 ქულის ჩამგდები და 16 აცილებული ბურთის მომხსნელი კარლოს ბუზერი. ეს 41 ქულა 203-სანტიმეტრიანი თავდამსხმელისთვის კარიერის რეკორდი იყო, მორმონთა შტატში კი იმაზე ალაპარაკდნენ, კარლოსი ჩვენი ოდინდელი კერპის კარლ მელოუნის ალიკვალი და ღირსეული მემკვიდრეაო. ღირსეული მემკვიდრეობისა რა მოგახსენოთ და, ბუზერს მართლაც რიგიანი სეზონი აქვს, თავის გუნდს პლეი ოფისკენ მიარბენინებს. ისიც სათქმელია, რომ ბოლო იუტელი, ვინც 40 ქულას ასცდა, სწორედ კარლ მელოუნი გახლდათ. მან ბოლოს შვიდი წლის წინ ჩააგდო 41 ქულა.

**კოტე ყორშია**



AFP მაიამიდან

# ვირუსმა ფაჩულია სასტუმროში გაუშვა

**ზაზა ფაჩულიამ** რეგულარული ჩემპიონატის გასული მატჩი გაციების გამო ვერ ითამაშა — ის ბოლო წამამდე გუნდთან ერთად იყო, მაგრამ შეხვედრის დაწყებასთან ერთად მისი მდგომარეობა გაუარესდა და ქართველი ცენტრი იძულებული გახდა, სასტუმროში დაბრუნებულიყო.

„ატლანტა" მაიამიში თამაშობდა და, როგორც ამერიკელები იტყობინებიან, ზაზა მგზავრობისას გაცივდა. მან თვითმფრინავშივე იგრძნო ცუდად თავი, დარბაზში უკვე ტემპერატურამაც აუწია და სასტუმროს ნომერში დაბრუნდა.

„ძალიან ცუდ დროს გამოგვაკლდა ზაზა — თქვა „მაიამისთან" მატჩის წინ „ატლანტას" მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა — ამ კვირაში არა მხოლოდ შაკილ ონილთან და ალონზო მურნინგთან გვიწევს ბრძოლა, არამედ ლიგის კიდევ ერთ ძლიერ მეფარე შარლოტელ ემეკა ოკაფორთანაც. ასეთ დროს ფაჩულიას გაციება ძალიან არასასიამოვნოა. ხვალ უკვე მომდევნო თამაშია და ვნახოთ, როგორ იქნება ხვალ ზაზა, რათა ვიცოდეთ, გვექნდეს თუ არა მისი იმედი".

„ატლანტა" მაიამიში უიმედოდ დამარცხდა და ფლორიდელთა ცენტრმა შაკილ ონილმა, რომ იტყვიან, აიკლო უზაზოდ დარჩენილი „ქორების" ფარქვეშეთი. შაკი მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტჯერ, 20-ჯერ დადგა საჯარიმო ხაზზე, საიდანაც 12 სროლა გამოიყენა.

მომდევნო მატჩს „ატლანტა" ხვალ გამართავს „შარლოტ ბობქეთსთან", ხოლო შემდეგ კვირის ბოლომდე დაისვენებს და „ჩიკაგო ბულზს" შეერკინება.

**ირაკლი პერტაია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *დეტროიტი* | 45 | 25 | 64,3 |
| კლივლენდი | 42 | 28 | 60,0 |
| *მაიამი* | 38 | 32 | 54,3 |
| *ტორონტო* | 38 | 32 | 54,3 |
| ჩიკაგო | 42 | 30 | 58,3 |
| ვაშინგტონი | 37 | 32 | 53,6 |
| ორლანდო | 33 | 38 | 46,5 |
| ნიუ ჯერსი | 32 | 38 | 45,7 |
| ინდიანა | 31 | 38 | 44,9 |
| ნიუ იორკი | 30 | 40 | 42,9 |
| ფილადელფია | 28 | 42 | 40,0 |
| ატლანტა | 27 | 45 | 37,5 |
| შარლოტი | 26 | 45 | 36,6 |
| მილუოკი | 25 | 44 | 36,2 |
| ბოსტონი | 21 | 49 | 30,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *დალასი* | 58 | 11 | 84,1 |
| *ფინიქსი* | 53 | 17 | 75,7 |
| სან ანტონიო | 50 | 20 | 71,4 |
| *იუტა* | 46 | 24 | 65,7 |
| ჰიუსტონი | 45 | 26 | 63,4 |
| ლეიკერსი | 38 | 32 | 54,3 |
| დენვერი | 35 | 34 | 50,7 |
| კლიპერსი | 34 | 36 | 48,6 |
| გოლდენ სტეიტი | 33 | 39 | 45,8 |
| ნიუ ორლეანი | 32 | 38 | 45,7 |
| მინესოტა | 30 | 39 | 43,5 |
| საკრამენტო | 30 | 40 | 42,9 |
| პორტლენდი | 29 | 42 | 40,8 |
| სიეტლი | 27 | 42 | 39,1 |
| მემფისი | 17 | 54 | 23,9 |

დახრილი შრიფტით აღნიშნული არიან დივიზიონების ლიდერები, მთავრულით — პლეი ოფში გასულები

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი
**ჯერალდ ვოლესი (შარლოტი)**

## დასავლეთი
**კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)**



„ლეიკერსის" სუპერმექულე კობი ბრაიანტს იმ ზღაპრული 50-ქულიანი თამაშების სერია ამ მხრივაც დაუფასდა. ის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს დასავლეთ კონფერენციაში. კობიმ კვირა „მემფისის" კალათაში 60 ქულის ჩაგდებით გახსნა, ამას „ნიუ ორლეანთან" 50 მოაყოლა, მესამე თამაშში კი „გოლდენ სტეიტთან" 43 ქულა „იკმარა". ამგვარად, მას კვირის განმავლობაში საშუალოდ 51,0 ქულა მოუგროვდა, რაც იმდენად სულისშემხუთავი რიცხვია, რომ მის გვერდით მოხსნების, პასებისა და სხვა კომპონენტების ხსენება სირცხვილიც კია.




აღმოსავლეთს, სპორტული ბედის ირონიით, სრულიად უცნობი ლაურეატი ჰყავს — „შარლოტის" 203-სანტიმეტრიანი ფრთა ჯერალდ ვოლესი, რომელიც კვირის განმავლობაში მოხვეჭილი 20,3 ქულით, 7,0 მოხსნით, 4,0 პასით, 2,3 დაფარებით და 1,3 ჩაჭრით კარიერაში პირველად გახდა კვირის მოთამაშე.

**კვირის სიმბოლური ხუთეული:** კირკ ჰაინრიხი (ჩიკაგო), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ჯერალდ ვოლესი (შარლოტი), დირკ ნოვიცკი (დალასი), კრის ბოში (ტორონტო)



# მანუჩარის აქაური სლოვენიურ ნამუსზე ჰკიდია

## მარკოიშვილი საქართველოზე ჩაფიქრდა

ოლიმპიელი მანუჩარ მარკოიშვილი კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს, თუმც, რამდენად უცნაური და მოულოდნელიც არ უნდა იყოს, დიდი შანსია, ეს სეზონი საქართველოს ჩემპიონატში ჩაამთავროს. კარგა ხანია, თსუ-ს თავკაცმა ნუგზარ ქეიშვილმა თქვა, პლეი ოფისთვის მანუჩარ მარკოიშვილი დაგვემატება და მერე ვნახოთ, ჩემპიონი ვინ გახდებაო. სლოვენიაში ჩემპიონატი საქართველოზე გვიან მთავრდება და, აქედან გამომდინარე, მარკოიშვილის თსუ-ში ჩამოსვლაც ცოტა არარეალური გვეგონა, თუმც... „ჯერ საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ „ოლიმპიადან" წამოვიდე" — გვითხრა გუშინ მანუჩარმა, ლიუბლიანაში რომ შევეხმიანეთ

— გუნდის ხელმძღვანელობა შეიცვალა, გენერალური მენეჯერიც ახალი გვყავს, მაგრამ ხელფასების გაცემას მაინც არ აპირებენ და ეს უკვე აუტანელი ხდება.

— გუნდის თვითნებურად დატოვებას აპირებ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ თუ ამას გავაკეთებ, ვერავინ გამამტყუნებს. ასე უკვე მოიქცნენ „ოლიმპიას" ის მოთამაშეები, რომლებსაც სხვა გუნდის ვარიანტი გამოუჩნდათ. კონტრაქტში პირდაპირ წერია, რომ ხელფასის დაგვიანების შემთხვევაში მოთამაშეს კლუბის დატოვება შეუძლია.

— შენ გამოგიჩნდა გუნდი?

— არა, მაგრამ ასეთი უპასუხისმგებლობა, რომელსაც „ოლიმპიას" ხელმძღვანელები იჩენენ, შეურაცხმყოფელია. გვეუბნებიან, ითამაშეთ და ყველაფერს ბოლომდე გავისტუმრებთო, მაგრამ ასე გრძელდება უკვე მთელი სეზონია. ახალი კლუბის ვარიანტი არ მაქვს, მაგრამ არ მინდა, ვინმემ სულელად ჩამთვალოს და თუ ცოტა ხანში არ აგვინაზღაურებენ დავალიანებას, სეზონის დამთავრებას არ დაველოდები და გუნდს დავტოვებ. ასე აპირებენ სხვებიც.

— ესე იგი, მართლაც რეალურია, რომ თსუ-ში ითამაშო?

— ამ ეტაპზე რამდენად რეალურია, არ ვიცი, მაგრამ თუ ხელფასებს არ მოგვცემენ, სხვა გზა არ მექნება — საქართველოში დავბრუნდები. აქ უკაპიკოდ თავის მოკვლას სახლში, ჩემს ოჯახთან ყოფნა მიჯობს.

— თუ დაბრუნდი, თსუ-ში ითამაშებ?

— არაა გამორიცხული — აბა, სახლში ხომ არ დავჯდები.

— რამდენად რეალურია „ოლიმპიაში" ფინანსური ვითარების გამოსწორება?

— ამ სეზონის რომ არ ჩავთვალოთ, გუნდის დავალიანება 5,2 მილიონ დოლარს შეადგენს. ახალ სპონსორებს არ სურთ ძველი ვალების გადახდა და ახლა ამაზე მიდის დავა-კამათი. არ ვიცი, რა როგორ იქნება, მე ალბათ აპრილამდე დაველოდები ვითარების გამოსწორებას.

— საკუთარ ფორმაზე რას იტყვი — საკმაოდ კარგ სეზონს ატარებ...

— უკეთესიც შეიძლებოდა, მაგრამ არც ახლა ვარ უკმაყოფილო. საკმაოდ სტაბილურად ვთამაშობ ამ სეზონში, თუმც დასრულებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და ამიტომ მტკივა გული, „ოლიმპია" პირნათლად რომ არ გვექცევა — მინდა, ბოლომდე კარგად ჩავამთავრო. საკუთარ თამაშზე კი იმას ვიტყვი, რომ თავდასხმაში მომატება მმართებს. რაც აქამდე თავი გამომიჩენია, ეს ძირითადად კარგი დაცვის ხარჯზე მომხდარა.

**ირაკლი პერტაია**



# ქუთაისი და უკვანტო?

## სავარდომ და სამაისომ ჭიდაობა არ უნდა დაკარგოს

**ქუთაისში** ერთ-ერთ შეკრებაზე ჩამოსულმა ბელარუსის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი მაზურკევიჩმა მე-14 ჭიდაობის კომპლექსური სკოლა რომ დაათვალიერა, გაოცებულმა ხელები გაშალა, მხრები აიჩეჩა და თქვა, ახლა კი მჯერა, რომ თქვენს ქვეყანას უდიდესი მომავალი აქვს. რაკი ასეთ საშინელ პირობებში ჩემპიონთა აღზრდას როგორღაც ახერხებთ, ესე იგი თქვენთვის აღარაფერია შეუძლებელიო. მერე იმ სპორტსკოლაში მომუშავე რამდენიმე მწვრთნელს იქვე შესთავაზა ბელარუსში ხელსაყრელ პირობებში მუშაობა.

ეს ბელარუსელიც რომ არა, ქუთაისელებს სხვა ქვეყნებიდანაც იწვევენ, მაგრამ ქუთათურები ცდუნებას უძლებენ, ადგილიდან ფეხს არ იცვლიან და თავიანთი უბადრუკი სკოლისა და ქვეყნის ერთგულნი რჩებიან. თუმც ეტყობა, ასე დიდხანს ველარ გაგრძელდება, ენთუზიაზმი, ბოლოს და ბოლოს, განელდება და...

მაინც, რა პირობებში უხდებათ ვარჯიში აქ მომუშავე მწვრთნელებს და მათ აღსაზრდელებს? გათბობასა და ცხელ შხაპზე რომ არაფერი ვთქვათ, დარბაზში სავარჯიშო ლეიბებიც კი არა აქვთ, ჭერიდან კი ზოგან წყალი ჟონავს. ყოველივე ამის გამო სპორტსმენებს ილეთი ველარ ჩაუტარებიათ, რადგან მოსალოდნელი დაშავება აშინებთ...

არადა, ამ სკოლაში, რომელიც დაარსებიდან 31 წელიწადს ითვლის, მისი პირველი დირექტორისა და დამფუძნებლის, მსოფლიოში აღიარებული მწვრთნელის, აწ განსვენებული ჯემალ კოსტავასა და სხვა ცნობილ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით აღიზარდნენ გამოჩენილი ოსტატები, მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის თუ ოლიმპიური ჩემპიონები: თეიმურაზ აფხაზავა, გოგიტა კოლუაშვილი, გიორგი სალდაძე, აკაკი კობორძალიძე, მამუკა გუბელაძე და კიდევ მრავალი თვალსაჩინო მოჭიდავე, რომელთა სახელების ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

სასიამოვნოა, რომ მწვრთნელთა ძველი პლეადის ძირითადი ბირთვი, მიუხედავად მიზერული ხელფასებისა და ცუდი პირობებისა შეიძლება ითქვას, შიშველი ენთუზიაზმის ხარჯზე სკოლის სახელოვანი ტრადიციების შენარჩუნებას ახერხებ[illegible] XX საუკუნის საქართველოს ათ საუკეთესო მწვრთნელთაგან ერთ-ერთი), დათო თევდორაძე, ამირან მამრიკიშვილი, ვეფხვია ბალხამიშვილი, ელგუჯა მარუაშვილი და ლევან ცნობილაძე — ჭიდაობის სამყაროში აღიარებული სპეციალისტები, დირექტორ ტარიელ ფარჯანაძისა და სასწავლო ნაწილის გამგის გოგი კოსტავას ხელმძღვანელობით კვლავაც ზრდიან ჩემპიონებს. ბოლოდროინდელი მიღწევებიდან იმის გახსენებაც კმარა, რომ ძიუდოში 2006 წლის მსოფლიო თასის მფლობელ საქართველოს ნაკრების 7 წევრიდან, რომელთა რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებითაც დიდად გავიხარეთ და ეს ამბავი ქვეყნის ხელმძღვანელობამ და პრესამ ზარ-ზეიმით აღნიშნა, ორნი — ცირეკიძე და მამრიკიშვილი სწორედ ამ სკოლამ აღზარდა.

ამიტომ სპორტის მესვეურებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ დიდი ტრადიციების მქონე ქუთაისის მე-14 კომპლექსურ სკოლას, რადგან, თუ ეს ტრადიციები ერთხელ დაირღვა, მათ აღდგენას თაობები დასჭირდება.

**გიორგი პატარაია**



# ჭულუხაძემ ეგვიპტეს ვერ გაართვა

23-25 მარტს ეგვიპტეში თანამედროვე ხუთჭიდელთა შორის მსოფლიო ეტაპი გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრების ლიდერმა დავით ჭულუხაძემაც მიიღო მონაწილეობა. ეგვიპტურ ეტაპზე ჭულუხაძე ნახევარფინალიდან ჩაება. მისი მოწინაალმდეგე 25 ქვეყნის 85 სპორტსმენი იყო. წილისყრის შემდეგ ისე მოხდა, რომ პირველად ფარიკაობაში მოუხდა გამოსვლა. ამ სახეობაში სათანადოდ მომზადებული არ იყო, რაზედაც დაიჩივლა კიდეც „სარბიელთან" საუბრისას ეგვიპტეში გამგზავრებამდე. მიუხედავად ამისა, 14 ორთაბრძოლა მოიგო, 13 კი დათმო, რაც კარგ შედეგად ითვლება. მომდევნო გამოსვლა სროლაში ჰქონდა, სადაც დაკარგა კიდეც გადამწყვეტი ქულები. სულ 175 ქულა მოინაგრა, არადა, 180-ის დაგროვების შემთხვევაში ფინალისტებს შორის ხვდებოდა. ბოლო გამოსვლა სირბილში იყო, რაც შედეგის გამოსწორების საშუალებას ნაკლებად იძლეოდა, თუმცა ჭულუხაძეს შანსი აქაც მიეცა — 12 გამსვლელ კანდიდატს შორის მოსახვედრად ნაბიჯი დააკლდა, ფინიშზე მე-13 იყო. თბილისში დაბრუნებული **დავით ჭულუხაძე** მსოფლიო ეტაპზე და უახლოეს გეგმებზე გვესაუბრა

— ფარიკაობაში ასეთ შედეგს ნაკლებად ველოდი, რადგან მომზადების საშუალება ფაქტობრივად არ მქონია. სროლაში კი ნამდვილად მოვიკოჭლე. შარშან ამ ეტაპზე ნახევარფინალში 182 ქულა მქონდა, ახლა კი არ ვიცი, რა მომივიდა. ერთ-ერთი ხელის შემშლელი მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ სროლა ფარიკაობის შემდეგ მომიწია. ამ დროს დაღლილიც ვიყავი და ნაკლებად კონცენტრირებულიც. ზუსტ მიზეზს კი მას შემდეგ დავადგენ, როცა ნაკრების მწვრთნელ ამირან შეროზიას დაველაპარაკები.

— ყველაფრის გათვალისწინებით, თქვენს გამოსვლას როგორ შეაფასებდით?

— კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები. მეტის მიღწევა მსურდა და შემეძლო კიდეც. დამშვიდების საბაბს ის მაძლევს, რომ ეგვიპტეში ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. საპრიზო სამეულიც მათ შეადგინეს — პირველი გერმანელი ერიკ ვალტერი იყო, მეორე ჩეხი მიხალ მიხალიკი, ბრინჯაო კი ლიტველმა ედვინას კრუნგოლცასმა ირგუნა.

— თქვენი უახლოესი გეგმები როგორია?

— 12-14 აპრილს ინგლისში გასამართ მსოფლიო ეტაპზე გამოვალ. იქამდე დრო ცოტა მაქვს, მაგრამ შევეცდები, მწვრთნელთან ერთად შეცდომები გავაანალიზო და ინგლისში უკეთ გამოვიდე. ეგვიპტეში ყველა განსაკუთრებული მოტივაციით იყო ჩამოსული, რადგან თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. როგორც ჩანს, მეც მეტი მონდომება მმართებს.

**ლექსო მაისურაძე**



# გადაიღე, გამოფინე, მოიგე

მომავალი კვირიდან სპორტის დეპარტამენტი ფოტოკონკურსს გამოაცხადებს. დაახლოებით ორი კვირის მანძილზე ნებისმიერ მსურველს შეეძლება სპორტული ფოტოს წარდგენა. საუკეთესო სამეული კი ფულადი ჯილდოებით დასაჩუქრდება.

„კონკურსში მონაწილეობის უფლება პროფესიონალი ფოტოგრაფების გარდა მოყვარულებსაც ექნებათ — გვითხრა გუშინ დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა თათია ბურდულმა — ფოტო 2005 და მომდევნო წლებში უნდა იყოს გადაღებული. უფრო ძველი ნამუშევრებისთვის ერთი ნომინაცია — „ფოტო წარსულიდან" გათამაშდება. მთავარი სამეული კი სოლიდურ პრემიებს მიიღებს. უახლოეს დღეებში სპეციალურ პრესკონფერენციას გავმართავთ და ფოტოკონკურსის თაობაზე ყველა კითხვას ვუპასუხებთ. ამჯერად კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ფოტოების მიღება 2 აპრილიდან დაიწყება და 20 აპრილამდე გასტანს. თითოეულ მსურველს მხოლოდ ათამდე ნამუშევრის წარმოდგენა შეეძლება. აპრილის მეორე ნახევარში მოეწყობა გამოფენა, რომელზეც დამთვალიერებლებს ყველა ფოტოს ნახვა შეეძლებათ. სამდღიანი გამოფენის შემდეგ კი საუკეთესოებიც გამოცხადდებიან. ოთხკაციან ჟიურიში ორი პროფესიონალი ფოტოხელოვანი იქნება, ოღონდ არა სპორტში მომუშავენი, თითოთითოც დეპარტამენტის მუშაკი და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი იქნება".

**ოთარ გალლაძელიძე**

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

შოთა მირიანაშვილი

# გადმოფრენა მაზერიდან

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტართა პრობლემური ლაბორატორიის გამგე, დოცენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მთამსვლელობაში შოთა მირიანაშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, მთაში დადის. მას მწვერვალებზე არაერთი პირველასვლა განუხორციელებია, ახალი მარშრუტებიც გაუკვალავს და საკავშირო ჩემპიონატებში მრავალი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაუმსახურებია, ბევრჯერ კი სიკვდილისთვისაც ჩაუხედავს თვალებში. დღეს იგი ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე გვიამბობს**



**ქვემოთ** მოგითხრობთ მთაში მომხდარი ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც მე და ჩემს მეწყვილეს გადაგვხდა მწვერვალ მაზერის ტრავერსის დროს და თუ არა განგების ნება, არც ეს გახსენება იქნებოდა და არც მისი მთხრობელი.

1955 წლის ივნისი იდგა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლელთა ჯგუფი ზემო სვანეთში გასამგზავრებლად იყო მზად.

მიზნად ორი ტრავერსის განხორციელება გვქონდა დასახული: დოლრა — ნევაი (4A კატეგორიის სირთულე) და მწვერვალ „მაზერის" მასივისა, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ გაუვლელი იყო და ექსპერტები 5A კატეგორიის სირთულით აფასებდნენ.

უშბას სიდიადით მონუსხული კაცი ძნელად თუ აღიქვამს მის ჩრდილში მყოფ მაზერის ვეება მასივს, რომელიც, ფაქტობრივად, ჩრდილოეთიდან კეტავს ხეობას.

მაზერის მასივს სამხრეთ უშბისგან ღრმა კლდოვანი უნაგირა ყოფს. მას 3900 მეტრს აცილებული ორი წვერი ამშვენებს. კლდოვანი თხემი უშბიდან მთავარ მწვერვალამდე კლდის ქონგურებითაა (მათ ალპინიზმში „ჟანდარმებს" უწოდებენ) დახუნძლული, რაც ტრავერსს მნიშვნელოვნად ართულებს.

ტრავერსის დაწყებიდან მესამე დღის ბოლოს მაზერის ცენტრალურ მწვერვალზე შევდგით ფეხი, რის შესახებაც ჩვენ მეთვალყურეებს (ელიავა — შენგელია) მწვანე ფერის სასიგნალო მაშხალებით ვაცნობეთ.

ჩემი მზერა მასივის დასავლეთ მწვერვალმა მიიპყრო, რომელიც სულ ახლოს, ერთი შეხედვით, ხელის გაწვდენაზე, მაცდურად თავისკენ მიხმობდა. თუმცა ცხადად ვიცოდი, რომ ეს სიახლოვე მოჩვენებითი იყო (ამ მოჩვენებითობამ მოვალშიც არაერთხელ გადამყარა ხიფათს), მაგრამ დასავლეთ მწვერვალზე გადასვლა მაინც დავიჩემე.

მცირე ყოყმანის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელმა ამის ნება დამრთო, მაგრამ რადგან საღამოვდებოდა, მთელი ჯგუფით ტრავერსის გაგრძელება ქედზე დამატებითი ღამისთევის ტოლფასი იყო, ეს კი არცთუ მდგრადი ამინდის პირობებში საკმაოდ სარისკო ჩანდა. ამიტომ დასავლეთ მწვერვალზე მე და ირაკლი ბაქრაძე წავედით, დანარჩენებმა კი დაშვება დაიწყეს.

ქედი ცენტრალურ მწვერვალიდან გამყოფ უნაგირამდე სწრაფად ჩავიარეთ. წინ მე მივდიოდი. უნაგირადან გზა კლდოვან ქედს მიჰყვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მწვერვალი ზედ ცხვირწინ აყუდებულიყო, მასზე ასვლას საათზე მეტი დრო მოვანდომეთ.

მწვერვალზე ჩვენამდე არავინ ყოფილა და რაკი პირველამსვლელები აღმოვჩნდით, სასწრაფოდ ავაშენეთ ქვის ნიშა, წერილი დავტოვეთ და დაშვება დავიწყეთ. სულ მალე უნაგირაზე აღმოვჩნდით, ჩვენი ბიჭები კი, აღარსად ჩანდნენ.

დაშვება თავქვე მიმავალი, დიდი დაქანების თოვლიანი კულუარით დავიწყეთ. თოვლის მდგომარეობა გლისერის შესაძლებლობას იძლეოდა („გლისერი" თოვლზე სრიალით, თხილამურების მსგავსად, დაშვების ხერხია, რომელსაც ალპინისტები იყენებენ). ეს ხერხი დაშვებას მნიშვნელოვნად აჩქარებს, მაგრამ დახვეწილ ტექნიკას და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

მზე უკვე ჩასული იყო, ბინდი ნელ-ნელა ხეობიდან ზემოთ იპარებოდა: დიდ სიმაღლეზე, თანაც მოსალოდნელ ავდარში უკარვოდ ღამისთევა გველოდა, ამიტომ გლისერით დაშვება ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა.

ვინაიდან მარშრუტი ჩვენთვის უცნობი იყო, უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები მივიღეთ. რიგრიგობით ერთი დაცვაზე იდგა, მეორე კი ქვემოთ გლისერით ეშვებოდა.

თავში მე დავდექი დაცვაზე. თოვლში ღრმად ჩავარჭე წერაყინი და თოკის ნელ-ნელა მიშვებით მეწყვილეს ყველა მოძრაობას ვაკონტროლებდი. როცა ირაკლი ჩემს ქვემოთ, თოკის მთელ სიგრძეზე (40მ) აღმოჩნდა და ახლა მან უზრუნველყო ჩემი დაცვა, თავქვე დავეშვი, ირაკლის ჩავუქროლე და მისგან 40 მეტრის ქვემოთ მორიგი დაცვის მოსაწყობად გავჩერდი. შემდეგ ირაკლიმ იგლისერა და ჩემს ქვემოთ აღმოჩნდა თოვლისა და კლდეების გასაყარის მიჯნაზე. ზემოდან მაცქერალს ირაკლის ქვემოთ კულუარი, რომელიც სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, გლისერისათვის საიმედოდ არ მომეჩვენა. ამიტომ ირაკლის ჩავძახე, რომ კულუარში თოვლის საფარი შეემოწმებინა. ირაკლის ყვირილი კარგად მესმოდა, ჩემი ხმა კი მას ნაკლებად სწვდებოდა. როგორც იქნა, ჩემი ეჭვების თაობაზე გავაგებინე. მან ჯერ სიტყვიერად დამიდასტურა თოვლის საიმედობა, ხოლო შემდეგ პრაქტიკულადაც — წერაყინი ორჯერ ჩაასო თოვლში და ორჯერვე იგი ბოლომდე ჩავიდა, რაც იმის დასტური უნდა ყოფილიყო, რომ თოვლის სისქე კულუარში 40 სმ ნაკლები არ იქნებოდა. ამით დაიმედებულმა გლისერის სიჩქარე გავზარდე. როცა ირაკლის ჩავცდი, ფეხქვეშ ოდნავ თოვლწაყრილი კლდეები დამხვდა. უმალ პირქვე დავემხე, რათა როგორც წესი და რიგია, წერაყინით დამემუხრუჭებინა. რაღაც მომენტში ირაკლის სილუეტი დავლანდე, რომელიც წერაყინის თოვლში ჩარჭობას ლამობდა, მაგრამ უშედეგოდ. თურმე ისიც თოვლწაყრილ კლდეებზე მდგარა და წერაყინიც, რომელიც მან ჩემი ეჭვების გასაფანტავად რამდენიმე წუთით ადრე თოვლში ჩაასო, ჩვენს ბედად თუ საუბედუროდ, თურმე ორჯერვე კლდის ნაპრალში მოხვდა.

ირაკლის მოწყვეტა ვერც ვიგრძენი, თავქვე კისრისტეხით მივექანებოდი. კულუარში თოვლის, ყინულისა და კლდის მონაკვეთები ერთმანეთს ცვლიდა. რაღაც მომენტში, ერთხელ თუ ორჯერ, შეჩერება მოვახერხე, მაგრამ სწორედ ამ მომენტებში ჩემი მეწყვილეს წყალობით, რომელსაც უკვე დიდი სიჩქარე ჰქონდა აკრეფილი, ახალი ძალით ვაგრძელებდი ვარდნას.

ჩვენი ვარდნა, რომელიც დროის სივრცეში რამდენიმე წუთს გრძელდებოდა, ჩემს გონებაში ერთი გაელვება იყო. ამ მომენტიდან მოყოლებული, ჩემს მოქმედებას ვეღარ ვაკონტროლებდი და ყველაფერი განგების ხელში იყო.

რაღაც მომენტში გავლილი ცხოვრების ფრაგმენტები ცხადად ვიხილე. გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ ყველაზე ნათლად ის ამბავი ამოტივტივდა, მე და ოთარ ხაზარაძეს ერთი წლის წინ მწვერვალ ხევაიდან ჩამოსვლისას რომ შეგვემთხვა.

როცა ოთარი მოწყდა, ის ათიოდე მეტრით ჩემს ზემოთ იყო. იმ მომენტში თავად მე რას ვაკეთებდი, არ მახსოვს. ახლა კი, როცა უფსკრულში მივექანებოდი, ხევაიზე მომხდარს გარეშე თვალით ვუცქერდი. აღმოჩნდა, რომ ოთარის და საკუთარი თავის გადასარჩენად არაფერი მიღონია. ისიც ცხადად ვიხილე, როგორ ავვარდი ჰაერში და ოთარის მიყოლებით ყინულის ღარში როგორ ჩავენარცხე. ყინულის ღარი, რომელიც დიდი დაქანებით ღრმა კულუარში იყო ჩაწოლილი და პირდაპირ ქვემოთ მიექანებოდა, შორს მყინვარის შესაყართან ნაზვავებში თავდებოდა. ჰოდა, ბობსლეის ღარის მსგავსი ეს ხევაის ტრასა, რომელიც ვერტიკალურად 550 მეტრზე ნაკლები ნამდვილად არ იყო, დახრა კი 40 გრადუსს აღემატებოდა, ალბათ სარეკორდო დროში დავფარეთ და ეს ყველაფერი მაზერის კულუარში ვარდნისას ცხადად ვიხილე.

როცა მაზერზე გადამხდარს ვიხსენებ, გონების თვალით გაცოცხლებული ხევაი ალბათ იმისი მანიშნებელი იყო, რომ ამჯერადაც ზინაცაში მფარველი მყავდა.

როცა ვარდნის სიჩქარე იმდენად გაიზარდა, რომ დამუხრუჭება შეუძლებელი გახდა, ზურგზე გადავტრიალდი, რათა ის მაინც დამენახა, თუ საით მივექანებოდი.

აქედან მოყოლებული ჩემს მოქმედებას ბოლომდე ვაკონტროლებდი, რამდენადაც ამის შესაძლებლობას შექმნილი ვითარება იძლეოდა. სად იყო ამ დროს ირაკლი, არ ვიცოდი და ამაზე, ცხადია, ვერც ვფიქრებდი. კულუარი, რომელშიც დიდი სიჩქარით მივექანებოდი, უფრო კლდის კანიონს წააგავდა. როცა ზურგზე გადავტრიალდი, ჩემი მზერა ვეება ლოდმა შთანთქა, რომელიც კულუარში იყო ჩახერგილი და იმ წამს დიდი სიჩქარით ჩემკენ მოექანებოდა. ფიქრის დრო აღარ რჩებოდა, წამიც და ლოდს დავეჯახებოდი, რაც ალბათ საბედისწერო შეიძლება გამხდარიყო. მხოლოდ ის მოვასწარი, რომ ფეხები გავჭიმე.

კლდესთან შეხეთქება თითქმის არ მიგრძვნია, მაგრამ ჰაერში რომ ავიჭერი და ლოდს თავით წინ გადავევლე, ეს მეხსიერებაში მკაფიოდ ჩამრჩა.

ჩემდა ბედად, ამ ვეება ლოდს გამუდმებული ზვავებისა და ქვათაცვენათა შედეგად, რომლებიც კულუარში არა ერთი მილიონი წელი გრუხუნებდნენ, გლუვი ნახევარსფეროს ფორმა მიეღო.

კლდიდან ჩემი ფეხების ასხლეტის შემდეგ ყველაფერი ინერციის კანონს დაემორჩილა. ცხადია, რომ კლდესთან შეხეთქებამ ჩემი კინეტიკური ენერგიის გარკვეული ნაწილი შთანთქა. დამუხრუჭება ძირითადად სხეულის ქვედა ნაწილზე უფრო შესამჩნევი იყო. ინერციის გამო სხეულის ზედა ნაწილი კი წინ გადაქანდა და ჰაერში 180 გრადუსიანი მალაყი შევასრულე. ახლა მთავარი ის იყო, როგორ დამთავრდებოდა ეს გადაფრენა იმ ლოდზე.

ლოდის ქვემოთ თოვლის კულუარი გრძელდებოდა, მაგრამ მისი კიდე 7-8 მეტრით ქვემოთ იყო.

ვისაც მთაში უვლია, კარგად იცის, რომ კლდისა და თოვლის საზღვარზე აუცილებლად ჩნდება ნაპრალი. ალპინიზმში ის ბერგშრუნდის სახელითაა ცნობილი. მისი სიგანე და სიღრმე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ჩვენ შემთხვევაში საკმაოდ ღრმა და განიერი ნაპრალი იყო, 9-10 მეტრი, ნაზვავი თოვლით ნახევრად ამოვსებული. ლოდს რომ გადავუფრინე, სწორედ ბერგშრუნდისაკენ თავით წინ გავექანე. იყო გაელვება, როცა მეგონა, რომ ნაპრალსაც გადავუფრენდი. რა მოხდა შემდეგ, გონებიდან ეს ამომივარდა. მერე წამით აზროვნების უნარი დამეკარგა, მეხსიერება [illegible] და როცა [illegible]ვით სოლივით შერჭობილი ვიყავი. უკუნი სიბნელე იყო და სუნთქვაც მიჭირდა. გონზე დროულად რომ არ მოვსულიყავი, ალბათ გავიგუდებოდი. როგორც კი ხელები ენერგიულად გავანძრიე, საიდანღაც ჰაერის ნაკადი შემოიჭრა და ძლივს მომეცა. თოვლის ტყვეობიდან თავის დაღწევა გამიძნელდა (არანაკლებ 5 მეტრის სიგრძეზე ვიყავი თოვლში შეჭრილი), მაგრამ ეს მაინც შევძელი.

აღმოჩნდა, რომ, ჩემდა საბედნიეროდ, ნაპრალის მოპირდაპირე ზღუდეს ზუსტად იქ შევეჯახე, სადაც თოვლი ფხვიერი იყო. ნახევარი მეტრით ზემოთ ან ქვემოთ რომ დავჯახებოდი, უთუოდ კისერს მოვიტეხდი. როცა თოვლის ტყვეობიდან თავი დავაღწიე და სინათლე ვიხილე, იმწამს ირაკლი გამახსენდა, რომელიც არსად ჩანდა.

თოკი, რომელიც ირაკლისთან მაკავშირებდა, ბერგშრუნდის სიღრმეში იკარგებოდა. აქედან მოყოლებული მთელი არსებით ირაკლისთან ვიყავი. იმედი, რომ მას ცოცხალს ვნახავდი, ერთი წამითაც არ დამიკარგავს. თოკში რომ არ ვყოფილიყავით ჩაბმულები, ალბათ ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრდებოდა. ცარიელი ხელებით თოვლის ტყვეობიდან კაცის დახსნა და თანაც დროულად, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

როცა თოკის წყალობით ირაკლი თოვლიანი ბერგშრუნდიდან გამოვძვრე, გონზე არ იყო. როცა თოვლი ჩამოვბერტყე და წამოვსვი, თვალები გაახილა და მკითხა, სადა ვართო. ვუთხარი, მარშრუტის ძირში, ბერგშრუნდიში ვსხედვართ-მეთქი. საბოლოოდ რომ აზრზე მოვიდა, კი მაგრამ, აქ როგორ აღმოვჩნდითო?

რა უნდა მეპასუხა?! მადლობა უნდა ვუთხრათ ღმერთს, რომ ცოცხლები გადავრჩით-მეთქი და ნაპრალიდან ამოვძვერით.

თოვლის კულუარი სულ რაღაც 150 მეტრში მთავრდებოდა, უფრო ქვემოთ კი არყის ბუჩქები მოჩანდა.

როცა 100 მეტრით ქვემოთ ჩამოვიწიეთ, მთელი მარშრუტი, რომელიც მე და ირაკლიმ სასწაულად მოკლე დროში „ჩამოვიარეთ" (გინესის რეკორდების სიაშია უთუოდ შესატანი) ხელის გულივით ჩანდა.

იმ ადგილიდან, საიდანაც ჩვენ მოვწყდით (3750 მ) — ბერგშრუნდამდე (2150 მ) ვერტიკალში 1600 მეტრია, მარშრუტის სიგრძე კი (საშუალო დახრა არანაკლებ 40 გრადუსი) სულ ცოტა 2800 მეტრი.

ირაკლის ახსოვდა საათი და წუთი, როცა მე საბედისწერო გლისერი დავიწყე. ირაკლი რომ ნაპრალში გონზე მოვიდა, საღამოს ათის ოცი წუთი იყო. იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც მე ჯერ საკუთარი თავის, ხოლო შემდგომ ირაკლის დასახსნელად დამჭირდა, მაზერის კულუარში „ფრენა", როგორც ჩანს, სულ რაღაც 3-4 წუთს გრძელდებოდა. გამოდის, რომ ვარდნის საშუალო სიჩქარე ამ დროს საათში 60 კილომეტრს აჭარბებდა.

10 საათი იქნებოდა, როცა მეთვალყურეთა კარავს თავს წავადექით. ბიჭები ჯერ ჩამოსულები არ იყვნენ...

## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
### მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი - 1 აპრილი

# ამერიკა-ფელპსის დღე-სასწაული



ავსტრალიური ცურვის გურმანი პუბლიკა უკვე სერიოზულად იწყებდა შფოთვას, მსოფლიო რეკორდები აგვიანებენო. მერე კი უცებ ერთბაშად იმდენი გამოჩნდა, თითქოს კართან იცდიდნენ, რომ გაიღება, ერთად შევცვივდეთო...

27 მარტს ოთხი მსოფლიო რეკორდი დამყარდა და ამას ორი მსოფლიოს ჩემპიონატის რეკორდიც მოჰყა. დღის განმავლობაში ჩავლილ არც ერთ ფინალურ გაცურვას რეკორდის გარეშე არ ჩაუვლია და თავისთავად ცხადია, ტრიბუნებმა ყველა მათგანის ავტორი ტაშით და ჯილდოვეს, მაგრამ ამ რეკორდებში ყველაზე სენსაციურის გამხერხებელს თითქმის არფერი ერგო ამ მხრივ.

მაიკლ ფელპსი! ამ ამერიკელს 21 წლის ასაკში იმდენი რამ მოუგია, სხვებს არც დაესიზმრებათ და ჯეელი იანკი ავსტრალიაშიც მრავლისმომხვეჭი ამბიციებით ჩავიდა და აი, პირველი ოქრო, თანაც რეკორდით და თანაც რა დისციპლინაში — ერთ-ერთ უპრესტიჟულეს 200 მეტრ თავისუფალ გაცურვაში! მოდით, გავიხსენოთ, ვინ ითვლებოდა ამ დისტანციის მეფედ — ავსტრალიელი იან ტორპი, რომელიც სულ რაღაც ორიოდ თვის წინ, სულ რაღაც 24 წლისა გამოემშვიდობა დიდი წყლის ბილიკებს, რაკილა ყველაფერი ჰქონდა მოგებმოპოვებული. ტორპედო ალბათ ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ მის საამაყო შედეგს, 2001 წლის ფუკუოკას მსოფლიოს პირველობაზე ნაჩვენებ წუთსა და 44,06 წამს მისი წასვლიდან ასე უცებ, თან მისსავე სამშობლოში გააუფერულებდა ვინმე.

მაიკლ ფელპსმა რაღაც არაადამიანური სისწრაფით იცურავა — მთელი დისტანცია ხომ გვარიანი უპირატესობით ლიდერობდა და ბოლო 50 მეტრზე მართლა მსხვერპლისკენ დაძრულ ხახადაღებულ ზვიგენად იქცა — 1 წუთი და 43,86 წამი! ტორპის რეკორდს მეხუთედი წამით ჩამოეჭრა, რაც ცურვაში გვარიანი დრო და სივრცე გახლავთ.

მერედა, რა კონკურენტები ჰყავდა?! მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, მფრინავი ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი, მელბურნში უკვე ერთი ოქროს მომხვეჭი სხმარტალა კორეელი ტაე ჰვან პარკი და სხვანი მრავალნი და სულ ყოჩაღნი. მაგრამ ვინ უყურებდა დანარჩენებს?!

ეს დღე ჭეშმარიტად ამერიკული გამოდგა მელბურნის ულამაზეს საცურაო აუზში. ფელპსის გარდა კიდევ სამმა ამერიკელმა მოიგო ფინალი და ამათგან ორმა მსოფლიო რეკორდით შეალამაზა ცხოვრების ეს ერთ-ერთი ულამაზესი დღე.

გულაღმა ცურვის სადღეისოდ უძლიერესმა სპეციალისტმა, 23 წლის აარონ პირსოლმა ზურგული 100 მეტრი 59,98 წამში გაცურა და ორი წლის წინ აშშ-ს ღია პირველობაზე დამყარებულ თავისივე მსოფლიო რეკორდს 0,19 წამი ჩამოარეცხა. არადა, მელბურნში პირსოლს რეკორდზე დაგეშილობისა არაფერი ეტყობოდა, ნახევარფინალში არცუ დამაჯერებლად იცურავა, იქ ბრიტანელ ლაიმ ტენკოკს ჩამორჩა და ფინალური გაცურვისას კუთვნილ მე-4 ან მე-5 კი არა, შედარებით ნაკლებად კომფორტულ მე-3 ბილიკზე მოხვდა, მაგრამ კომფორტის გარეშეც, თავადაც ხედავთ, მისი დამწევი არავინ აღმოჩნდა.

ამერიკული რეკორდების ნადავლში ქალის ბადეც ურევია. ასევე 100 მეტრ გულაღმა ცურვაში ნატალი კგლინმა შანსიც კი არავის დაუტოვა, თვით უყოჩაღესი ფრანგი ქალთევზა ლორე მანადუც კი სადღაც უკან დატოვა და პირსოლისა არ იყოს, მანაც თავისივე რეკორდს, 2002 წელს ფლორიდაში, ფორტ ლოტერდეილში დამყარებულ 59,58 წამს 0,14 წამი მოაკლო.

მანადუ მას 0,43 წამით ჩამორჩა და ვერცხლით მოუხდა დაკმაყოფილება.

ამერიკულ ყულაბაში დღეს მეოთხე, მთელ ჩემპიონატში კი მერვე ოქრო ჩააწკრიალა აუზის უგრძეს დისტანციაზე, 1500 მეტრზე მოცურავე ქალმა კეიტ ციგლერმა. მას მსოფლიოს არა, მაგრამ მსოფლიო პირველობების რეკორდი ერგო ჩარიზად.

ამერიკამ ოქროები კი მოიხვეჭა, მაგრამ ავსტრალიას რაღა?! არც მასპინძლები დარჩნენ მთლად ხელცარიელნი, ლიზელ ჯონსმა 100 მეტრზე ბრასში აჯობა ამერიკელ ტარა კირკს და ამით მაინც დაუამა დარდი ამერიკელთაგან ცოტა თავმოყვარეობაშელახულ ავსტრალიელებს.

**კოტე ყორშია**

### ცურვა

**ვაჟები. 200 მ თავისუფალი**

1. მაიკლ ფელპსი(აშშ) 1.43,86; 2. პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი (ჰოლანდია) 1.46,28; 3. ტაე ჰვან პარკი (კორეა) 1.46,73

**ვაჟები. 100 მ გულაღმა**

1. აარონ პირსოლი (აშშ 52,98; 2. რაიან ლოჩტე (აშშ) 53,50; 3. ლიამ ტენკოკი (ბრიტანეთი

**ქალები. 100 მ გულაღმა**

1. ნატალი კუგლინი (აშშ) 59,44; 2. ლორ მანადუ (საფრანგეთი) 59,87; 3. სეიკო ნაკამურა (იაპონია) 1.00,40

**ქალები. 1500 მ. თავისუფალი**

1. კეიტ ციგური (აშშ) 15.5305; 2. ფლავია სიგამონტი (შვეიცარია) 15.55,38; 3. აი შიბატა (იაპონია) 15.58,55

**ქალები. 100 მ. ბრასი**

1. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) 1.05,72; 2. ტარა კირკი (აშშ) 1.06,34; 3. ალა ხლისტუნოვა (უკრაინა) 1.07,27

### წყალბურთი

**ვაჟები. მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| სერბეთი — საბერძნეთი | ესპანეთი — იტალია |
| ხორვატია — რუსეთი | უნგრეთი — გერმანია |

**ქალები. მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| რუსეთი 10:9 საბერძნეთი | უნგრეთი 11:9 კანადა |
| აშშ 10:6 ესპანეთი | ავსტრალია 12:8 იტალია |



## სქოთების კაპიტანი უფრანგდება



შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი სკოტ მიურეი ამ ზაფხულს „ედინბურგიდან" აიბარგება და ორი წლით ფრანგულ „მონტობანში" ირაგბებს.

31 წლის მიურეის აქამდე ბრიტანეთს მიღმა არ უთამაშია და ეს მისი პირველი გალეგიონერებაა. ამასთან მიურეი მეხუთე ბრიტანელი ვარსკვლავი იქნება, ამ ზაფხულს „ედინბურგიდან" რომ წავა. მასთან ერთად კლუბს დატოვებენ საიმონ ტეილორი, რომელიც ფრანგული „სტად ფრანსეში" გადავის. შუამარბი რობ დივეი „ოლსტერში" ითამაშებს, ხოლო ელი სტროკოში და ალი დიკინსონი ინგლისურ „გლოსტერთან" გააფორმებენ ორწლიან კონტრაქტს.

რაც შეეხება სკოტ მიურეის, მისი გალეგიონერება სანაკრებო კარიერაზე არ აისახება. შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასზე შოტლანდიელთა კაპიტანი კვლავ მიურეი იქნება, ნაკრებში მას ყველაზე მეტჯერ, 81-ჯერ უთამაშია.

## დალალიო: ნაკრები ჩემზე ალალიო



ინგლისის ნაკრების კოლორიტი მორკინალი ლოურენს დალალიო მწვრთნელ ბრაიან ეშტონს სთხოვს, რომ „ვარდებში" რაც შეიძლება, მალე დააბრუნოს და მსოფლიოს თასზე წაიყვანოს. „მართალია, ჩემს კლუბ „უოფს" ცუდი სეზონი აქვს, მაგრამ მე ფორმაში ვარ და ნაკრებს ძალიან გამოვადგები" — განაცხადა 34 წლის დალალიომ, ვინც ინგლისის ნაკრებს 2000-02 წლებში კაპიტნობდა, მაგრამ კოკაინის ყნოსისთვის ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია აკიდა და ყოჩობაც ჩამოერთვა.

ათასს შარში გახვეულ და მეძავთა რისხვა დალალიოს „ვარდებში" 77-ჯერ უთამაშია. მის ტიტულებში არის 2003 წლის მსოფლიოს თასის ჩემპიონობა, ევროპული რაგბის ჩემპიონთა ლიგის ოქროს მედალი, ინგლისის ჩემპიონობა და საუკეთესო მოთამაშის პრიზი.

## უილკინსონს თარსი გაუმწვივდა

ინგლისის ნაკრების ნებიერამ ჯონი უილკინსონმა ლონდონის ჰოსპიტალში საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაიტარა და გაირკვა, რომ მინიმუმ ერთთვიანი უქმობა მოუწევს. 2003 წლის მსოფლიოს თასის გმირი თითქოს დაითარსა, რაკი რაც მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა, მას აქეთ 13-ჯერ დაშავდა, აქედან ოთხჯერ კი საოპერაციო იყო. ამ ხნის მანძილზე ჯადო-ჯონის 27 სანაკრებო მატჩი გაუცდა, ხოლო წლევანდელ „ექვს ერზე" ხუთიდან მხოლოდ ორ მატჩში ითამაშა. ახლა ჯონის ძველმა ტრავმამ, მარჯვენა ფეხის წვივის ტკივილმა შეახსენა თავი და რომ არ გაუმიზეზდეს, ერთთვიანი უქმობა მოუწევს.

## კლასიკა და ლეგენდები


ჯონა ლომუ

სამსოფლიოსთასოდ გამზადებული იაპონიის ნაკრები მაისში ორ ტესტს გამართავს ეგრეთ წოდებულ კლასიკურ ოლ ბლექსთან. აზიელები 9 მაისს კობეში, 12 მაისს კი ტოკიოში ეთამაშებიან ახალზელანდიელებს.

იაპონიის ნაკრებს ახლა ლეგენდარული ზელანდიელი ჯონ ქირვანი წვრთნის და ტესტებიც სწორედ მან გაჩარხა. „ეს ორი მატჩი ძალიან დიდი სკოლა იქნება იაპონიის ნაკრებისთვის. თანაც მატჩებს შორის სამდღიანი ინტერვალი განვებ დავგეგმეთ, რათა მსოფლიოს თასის განრიგს აქედანვე შევეჩვიოთ" — განაცხადა ქირვანმა.

სხვათა შორის, იაპონია 2015 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობას აპირებს და ეს ტესტები საამისო პაარიცაა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ მსოფლიოს თასზე იაპონიის ნაკრები ჯგუფში ავსტრალიასთან, უელსთან, ფიჯისთან და კანადასთან ერთად მოხვდა.

„კლასიკურ ოლ ბლექსში" კი თირკმელნაოპერაციევი ჯონა ლომუ ვეტერანი კრისტიან ქალენი და ჯადომეპასე კარლოს სპენსერი ითამაშებენ. საგანგებოდ შეკრებილ „შავებს" ლეგენდარული ენდრიუ მერთენსი უკაპიტნებს.

## მასტერსის სერია. ჯი ბისკაინი. აშშ. ჰარდი
## 22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო 6 900 000$

# კიმ კლაისტერსს ნა ლი ააკრეს



AFP კი მისკეთოიდან

### კაცები
### მესამე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლას ალმაგრო (29, ესპანეთი) 7:5 6:3; **გილერმო კანასი** (არგენტინა) — რიშარ გასკე (15, საფრანგეთი) 7:6 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (24, ჩეხეთი) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:3 6:2; **ტომი რობრედო** (6, ესპანეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:4 6:4; **ამირ დელიჩი** (აშშ) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 7:6 6:3; **ხუან-იგნასიო ჩელა** (23, არგენტინა) — ტომაშ ბერდიხი (14, ჩეხეთი) 6:4 7:6; **იარკო ნიემინენი** (20, ფინეთი) — დავიდ ნალბანდიანი (11, არგენტინა) 6:4 7:6; **ივან ლიუბიჩიჩი** (7, ხორვატია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 3:6 6:3 6:4

### ქალები
### მესამე წრე

**სერენა უილიამსი** (13, აშშ) — ლუსი შაფაროვა (23, ჩეხეთი) 6:3 6:4

### მეოთხე წრე

**ნიკოლ ვაიდიშოვა** (8, ჩეხეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:2 6:4; **შაჰარ პეერი** (14, ისრაელი) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 6:4 4:6 6:3; **ტატიანა გარბინი** (24, იტალია) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:4 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (9, რუსეთი) — მარა სანტანჯელო (32, იტალია) 6:1 7:5; **ნა ლი** (15, ჩინეთი) — კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) 4:6 6:4 6:2; **ნადია პეტროვა** (6, რუსეთი) — დინარა საფინა (10, რუსეთი) 3:6 6:2 6:4; **ჟუსტინ ენენი** (2, ბელგია) — ვერა ზვონარიოვა (18, რუსეთი) 6:3 6:2

შურისძიების დროც დადგა — როჯერ ფედერერს შანსი აქვს, სისხლი აიღოს ორი კვირის წინანდელი მარცხისთვის, რადგანაც დღეს გილერმო კანასს დაეტაკება. შვეიცარიელი ამ მატჩს რომ უდიდესი მოტივაციით შეხვდება, ფაქტია, რადგანაც არგენტინელთან წაგება დიდ ალპელს უკვე ყელში ამოუყვანეს და წლეულს კიდევ არაერთხელ შეახსენებენ მწარედ. ასე რომ, „მხიარული როჯერი“ საბრძოლო მზად არის — ერთადერთი, რასდაც ნაკლებად მოელოდა, ალბათ ის იყო, რომ ვენდეტის შანსი ასე მალე მიეცემოდა.

ეს ყველაფერი კი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გუშინ ფედერერმა უკვე ჩვეულად, ძალების მინიმალური დაძაბვით გამოუყვანა წირვა ნიკოლას ალმაგროს. აი, კანასმა კი ნამდვილ ჯახს გაუძლო და უმძიმეს ორთაბრძოლაში შეძლო რიშარ გასკეს წაქცევა. ისიც ვთქვათ, რომ პატაგონიელისგან ახალგაზრდა ფრანგის ძლევაც მოულოდნელობაა, რაც მის კარგ სათამაშო ფორმაზე მიუთითებს, მაგრამ მაინც საეჭვოა, გაეშებულ ფედერერს რამე მოუხერხოს.

საინტერესო და სენსაციური შედეგები კი გუშინ ბლომად იყო — მაგალითისთვის ტურნირის მეოთხე ნომერ ნიკოლაი დავიდენკოს გავარდნაც კმარა. ის მშობლიური მოსკოვის გზას 24 წლის ამერიკელმა ამირ დელიჩმა გაუყენა, რომელსაც აქამდე არაფრით გამოუჩენია თავი. ამ იანკის აქამდე ტოპათეულის წარმომადგენელი ერთხელაც არ დაემარცხებინა, მაგრამ აგერ, ეს ნავსიც გატეხა და ძალიანაც გადიდგულდა.

ფლორიდას გამოეთხოვა წლეულს საზიზღრად მოთამაშე დავიდ ნალბანდიანიც. არგენტინის ნომერ პირველმა ჩოგანმა მიმდინარე სეზონი ამაზრზენად დაიწყო და ჯერჯერობით მის თამაშს გამოკეთების არაფერი ეტყობა.

მცირე ჩავარდნა აქვს ტომაშ ბერდიხსაც. ახალგაზრდა ჩეხი ზედიზედ მეორე მასტერსია, შესაძლებელზე გაცილებით ცუდად ჩოგნაობს. ამჯერად სლავი ჰარდის მოტყულე ხუან-იგნასიო ჩელამ დაამარცხა.

სენსაციები არც ქალთა მატჩებს აკლდათ, მაგრამ აქაც ანონსით დავიწყებთ — საბოლოოდ გაირკვა, რომ წლის პირველი სლემტურნირის ფინალის გადამღერებას მაინც ვნახავთ. მარია შარაპოვას შანსი მიეცა, ორი თვის წინ მელბურნ-პარკზე განადგურებისთვის შური იძიოს სერენა უილიამსზე. თავის მხრივ მაშას „სისხლის დალვრის“ წყურვილით გავა კორტზე უმცროსი უილიამსიც — მან უფროსი დის ძლევისთვის უნდა აზღვევინოს რუს პრიმას.

სენსაციები რომ ვახსენეთ, კიმ კლაისტერსის მარცხს ვგულისხმობდით. ფუმფულა ბელგიელს ფლორიდაში ვიზიტი ასე ნაადრევად ნა ლიმ შეაწყვეტინა. ეს ჩინელი აღარ ხუმრობს და უკვე არანაირ ავტორიტეტს აღარ დაგიდევთ — ნებისმიერს ტოლ-სწორად ექიდავება. გემახსოვრებათ, რომ სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ ინდიან უელსში ფინალს უწია, ახლა კი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ჩოგბურთელიც წააქცია. თანაც ისიც გავითვალისწინოთ, რომ ლიმ პირველი სეტი წააგო და მხოლოდ შემდეგღა შეძლო მატჩის სათავისოდ შემოტრიალება.

მოულოდნელი იყო სვეტლანა კუზნეცოვას მარცხიც, რომელსაც შაჰარ პირი გაუმკლავდა და რუსი მისივე იარაღით — უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმებით დასცა.

**ბაჩა ლომაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

26 მარტი
**დეტროიტი** ხ0 **ანაჰაიმი**
0:0 ხ0 0:0
ხ0 დაციუკი (25)

# ლუნდკვისტის კვირა



**სეზონის** მეორე ნახევარში დიდებულ ფორმაშია „რეინჯერსის“ ახლაგაზრდა კარის დარაჯი ჰენრიკ ლუნდკვისტი, რომელმაც ფაქტობრივად საკუთარი მხრებით დააბრუნა მანჰეტენის ბინადრები საპლეიოფო ზონაში. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ამ ბოლო დროს ეს ბიჭი კვირის ვარსკვლავებში ძალიან ხშირად ხვდება.

ამჯერად შვედი გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელეს და ვინ იტყვის, რომ დაუმსახურებლად — ლუნდკვისტმა გასულ შვიდდღეულში 4-დან ოთხივე მატჩი მოიგო, რომლებშიც საშუალოდ 0,72 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 97,4 პროცენტს იგერიებდა, რაც ნამდვილად სუპერშედეგია.

მეორე ვარსკვლავობა გასული სეზონის საუკეთესო სნაიპერ ჯონატან ჩიჩუს ერგო. წლეულს საკმაოდ სუსტად მოთამაშე ამ ესკიმოსმა ფორმა სეზონის მიწურულს აკრიფა და ბოლო მატჩებია, გოლს გოლზე იტანს. გასული კვირის სამ მატჩში ჩიჩუმ ექვსჯერ დაამწუხრა მეტოქეები და ორჯერ საგოლედ უპასა პარტნიორებს.

მესამე ვარსკვლავად კი „მონრეალის“ 21 წლის კიპერი იან ჰალაკი დასახელდა. ძირითადი მეკარის კრისტობალ იუეს დამტვრევის შემდეგ „კანადიენსის“ საპლეიოფო შანსებს ყველამ ხაზი გადაუსვა, მაგრამ ფარმ-კლუბიდან მოწვეული ახლგაზრდა სლოვაკის ფანტასტიკური თამაშის წყალობით, კანადელები მაინც ინარჩუნებენ სტენლის თასისთვის მებრძოლ 16 გუნდში მოხვედრის შანსს.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ბროდომ, შესაძლოა კროსბიაო

**2006-07 წლების** რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის პრიზისთვის მებრძოლი სამეული უკვე გამოკვეთილია — ჟურნალისტთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, სეზონის MVP-ის ვინაობა „პიტსბურგის“ ვუნდერკინდ სიდნი კროსბის, „ნიუ ჯერსის“ მეკარე მარტინ ბროდოსა და „ვანკუვერის“ კარის დარაჯ რობერტო ლუონგოს შორის იმალება.

აქ გადაწვეტილების მიღება მართლაც ძნელი იქნება, რადგან სამივე ფანტასტიკურ სეზონს ატარებს. კროსბიზე იმდენი ვწერეთ და ვთქვით, რომ რამის დამატებას აზრი არ აქვს — ეს 19 წლის სუპერფორვარდი 111 ქულით ლიგის საუკეთესო ბომბარდირია და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მაგრამ არც ბროდოსა და ლუონგოს დამსახურება უნდა დავივიწყოთ — პირველი მორიგ დიდებულ სეზონს ატარებს და თითქმის ყველა სტატისტიკური მონაცემით საუკეთესო სამეულშია. აღარაფერს ვამბობთ ლუონგოზე, რომელმაც შარშანდელი მაჩანჩალა „ვანკუვერი“ დივიზიონის ლიდერად აქცია. გარდა ამისა, ორივე მეკარემ დღესდღეობით 43-43-ჯერ იმარჯვა და ახლა შანსი აქვთ, „ფილადელფიის“ ლეგენდარულ კიპერ ბერნი პარენტის 1973-74 წლებში დამყარებული რეკორდი მოხსნან ერთ სეზონში მოგებული მატჩების მიხედვით — მაშინ პარენტმა 47 თამაშში იმარჯვა.

ახლახან კი ბროდომ ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა და თქვა, რომ მისი აზრით, MVP-ის ტიტული კროსბიმ დაიმსახურა:

„მე რომ ვირჩევდე, უყოყმანოდ სიდნის დავასახელებდი. ის წლეულს შეუდარებელია“.

ოღონდ ბროდო ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებდა, თუ საკუთარი თავისთვის ხმის მიცემა აკრძალული იქნებოდა. და თუ შეეძლებოდა?

„საკუთარი თავის წინააღმდეგ წასვლა ძნელია — ვიტყოდი არასწორიც“ — იქვე ღიმილით დაამატა დიდმა კანადელმა.

მოკლედ, ბროდო აღიარებს კროსბის დამსახურებას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა ავტორიტეტი მოიპოვა „პატარა სიდმა“ ნჰლ-ის ვეტერანებს შორისაც კი — ვის-ვის და ბროდოს კარგად მოეხსენება კროსბის შესაძლებლობების შესახებ, წლეულს ხომ ისინი უკვე რვაჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

**ბაჩა ლომაშვილი**





AFP მეკონიდან

# პეკინში მედლები გამოფინეს

**გუშინ** ჩინეთის დედაქალაქში საზოგადოებას წარუდგინეს გაისად პეკინში გასამართი ოლიმპიური თამაშების მედლები. მედლის წინა მხარეს ამშვენებს გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულება, რომელსაც ხუთი ოლიმპიური რგოლი აგვირგვინებს, შორს კი მოსჩანს ჩინეთის დიდი კედლის კოშკები.

ითქვა, რომ საოლიმპიადოდ 6 ათასი მედალი დამზადდებაო.


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ლარცვანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge